ამიტომ შვილი შვილებს შესაძლებელია განუვითარდეთ არა დედისა ან მამის, არამედ ბებია ან ბაბუის ნიშნები. დნმ-ის ნუკლეოტიდთა მეთილირება და გენების “მონიშვნა”, რომელსაც გენომური იმპრინტი უწოდეს, ხდება მრავალი დაავადების მიზეზი. 5-მეთილციტოზინის დეჰამინირება ხდება თირკმელების კარცინომის, ბავშვებში – რეტინობლასტომის განვითარების მიზეზი. დღეს გენომური იმპრინტიგით ხსნიან ნეონატალური შაქ

რიანი დიაბეტის, რასელ სილვერის, ვიდემა-ბიკეიტის, გონებრივი ჩამორჩენის, ჰიპოგონადიზმის, ატაქსის, ჰიპერკინეზების და სხვანეგროგენული დაავადებების განვითარებას.

გენომური იმპრინტინგის მაგალითია ტერნერ-შერეშევსკის სინდრომი – XO – მონოსომია ქალებში. ერთი მთელი X-ქრომოსომის დაკარგვასთან ერთად ავადმყოფებში აღინიშნება ზოგიერთი გენების მშობლიური იმპრინტინგი. ხშირად იმპრინტინგული ხდება გენი, რომელიც პასუხისმგებელია ნორმალური ქცევის, სოციალური კონტაქტების, გონებრივი განვითარების ჩამოყალიბებაზე. ცნობილია, რომ ტერნერ-შერეშევსკის სინდრომის მქონე ქალები “იღებენ” ან დედის, ან მამის X-ქრომოსომას. აღმოჩნდა, რომ თუ ეს ქრომოსომა მამისეულია, აღინიშნება მნიშვნელოვნად ნაკლები განვითარების ანომალიები სოციალურ ქცევაში, არ ვითარდება აუტიზმი, და ასეთ ქალებს შეუძლიათ სწავლა, მუშაობა, დამოუკიდებლად არსებობა.

პრადერ – ვილის სინდრომის მქონე ავადმყოფებში (გონებრივი ჩამორჩენა, პათოლოგიური სიმსუქნე, ტანდაბლობა, პატარა ზომის ზემო და ქვედა კიდურები) ორივე ქრომოსომა მე -15 წყვილში დედისეულია.

ანგელმანის სინდრომის დროს (არაადეკვატური სიცილი, კრუნჩხვითი მოძრაობები, გონებრივი ჩამორჩენა) კი დედისეული ქრომოსომის მე -15 წყვილში აღინიშნება დედეციები. ამიტომ ფუნქციონირებს მხოლოდ მამის 15-ე ქრომოსომა.

როგორც აღმოჩნდა გენომური იმპრინტინგის კონტროლს ასორციელებენ გენ-მოდულიკატორები. ამის მაგალითია ჰანტინგტონის დაავადება. ისაუტოსომურ – დომინანტური, მძიმე ნევროლოგიური პათოლოგია ალელტალური გამოსავლით. ცნობილია, რომ დაავადებულთა 90%-ი ამ დაავადების გენს იღებს მამისგან და დაავადება მქვანდება გვიან – 38 წლის ასაკის შემდეგ. მაგრამ შემთხვევათა 10% იწყება ადრე – სქესობრივ მომწიფებამდე ან 2-2, 5 წლის ასაკში. მის მიზეზი არის აღნიშნული დაავადების გენის მამისეული იმპრინტინგი. ასეთ შემთხვევაში ბავშვი იღებს დაავადების გენს დედისაგან. როგორც ჩანს ნიშანთვისებათა ექსპრესია დამოკიდებულია იმ მშობელზე, რომელიც ხდება მუტაციის მატარებელი.

გენომური იმპრინტინგი – ეპიგენეტიკური მოვლენაა, როდესაც აღინიშნება მონოალელური ექსპრესია – ან დედის ან მამის ერთი წყვილის ქრომოსომებში. ამიტომ შთამომავალი იღებს,

ფაქტიურად გენეტიკური ინფორმაციის მხოლოდ ნახევარს. ასეთი უნიპარენტული დისომია კი ხდება იმის მიზეზი, რომ ადამიანს აკლდება რომელიმე გენის აქტიური ასლი. გენის ფუნქციის დაკარგვა კი, შემდგომში ხდება ფიზიკური, გონებრივი ან სხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის მიზეზი.

Genomic imprinting is an epigenetic phenomenon that involves gene expression - only from maternal or paternal pair of chromosomes without altering the genetic sequence. Because of that, individual gets only half of the genetic information. This type of the uniparental dysomy becomes the reason of losing the copy of the active gene. Appropriate expression of imprinted genes is important for normal development; otherwise it can lead to a physical, mental and other health related problems.

ლიტერატურა:

1. გეორგიანი ვ. ა. „გენომური იმპრინტინგის მითი და რეალობა“, 2011. კოლოგიის და ევოლუციური პრობლემების საერთაშორისო ინსტიტუტი
2. ისლამოვირ. ა., „იმპრინტინგის მნიშვნელობა ადამიანის განვითარებაში“, 2010. ყაზახეთის ეროვნული უნივერსიტეტი
3. Matthew W., Dykens E. M. “Genetics of childhood disorders”, 2010
4. Sapienza K. “Genomic Imprinting”, Scientific American, 1900, N12

რეზიუმე

გენომური იმპრინტინგის საიდუმლო და რეალობა

მ. ჰიპაშვილი, ე. იმნაძე –
თსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი

გენომური იმპრინტინგ არის ეპიგენეტიკური ფენომენი, რომელიც მოიცავს მონოალელური გენების ექსპრესიას დედის ან მშობლის ქრომოსომებისა, გენეტიკური კოდის შეცვლის გარეშე. ამის გამო ინდივიდი იღებს მხოლოდ ნახევარგენეტიკურ ინფორმაციას. ეს უნიპარენტული დისომიას არის მიზეზი, ერთი აქტიური გენის დაკარგვის. იმპრინტული გენის სათანადო აქტივობა საჭიროა ნორმალური განვითარებისთვის; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას მივყავართ ფიზიკურ, გონებრივ და ჯანმრთელობის სხვა პრობლემებთან.

SUMMARY

SECRET OF GENOMIC IMPRINTING AND REALITY

M. Chipadze, E. Imnadze –
TSMU Department of Molecular Biology and Genetics

Genomic imprinting is an epigenetic phenomenon that involves gene expression - only from maternal or paternal pair of chromosomes without altering the genetic sequence. Because of that, individual gets only half of the genetic information. This type of the uniparental dysomy becomes the reason of losing the copy of the active gene. Appropriate expression of imprinted genes is important for normal development; otherwise it can lead to a physical, mental and other health related problems.

წყალი-ბავშვის ჯანმრთელი სიცოცხლის აკვანი

მ. მ. დ. პროფ. იბ. დოლიძე,

ადამიანის ორგანიზმი, როგორც ცნობილია, შესულია სამყაროს ერთიან ინფორმაციულ ველში (იგულისხმება როგორც დედამიწა, ასევე პლანეტები და ვარსკვლავები). ამ სისტემური ურთიერთკავშირის დამყარებაში უდიდესი როლი ენიჭება წყალს. მას აქვს ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი მისტიკური ფუნქციონირების საიდუმლოებათა სიბრძნე (1-5). ეს იქნება სამყაროში არსებული ინფორმაციის მიღება, მისი შენახვა და მიზნობრივი გადასაწილება, აზროვნება, სმენადობა თუ ბიოენერგეტიკული ტევადობა და აქტიუობა, მოძრაობა, ემოციურობის გამოხატვა და ა. შ. იესო ქრისტემ სულიერი ძალა მდინარე იორდანეში წყლით განბანვის შემდეგ შეიძინა. ვინათლებით ჩვენც—ადამიანები; წმინდა წყლით ხდება კურთხევა და ა. შ. წყალი, თანამედროვე მეცნიერთა შეხედულებით, მიჩნეულია სამყაროს შინაგანაწესის მესაიდუმლოდ. ამას, ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში დასტური დასცა ძველი საბერძნეთის ფილოსოფიის მამა ჰერაკლიტემ, რომელმაც აღნიშნა: “წყალი მთელ სამყაროში ყველაფრის თავწყაროა”.

ბიოლოგიურ სამყაროში უწყლოდ ცოცხალი არსება ვერ ჩაისახება, ვერ წარმოიშობა და, მით უმეტეს, ვერ გაიზრდება. სიცოცხლე უწყლოდ არ არსებობს, ვინაიდან გამომშრალი და გამხმარი უჯრედი მოკლებულია მოქნილობას, დაკარგული აქვს გამრავლების უნარი, რაც თავისი მხრივ, სიცოცხლისა და არსებობის აუცილებელი პირობაა.

სიცოცხლის საოცრება დედის სხეულში ჩაისახება და ადამიანის ნაყოფიც თავის განვითარებას წყალში იწყებს. ის დედის მუცელში, სითხით სავსე ნაყოფის ბუშტში, ცურავს და იზრდება, მასში ატარებს სიცოცხლის პირველ—ცხრა თვეს და თავის დროზე სინათლის სამყაროში წყალთან ერთად გამოიდევნება. პირველი, რაც მას ამ სამყაროში ესაჭიროება, დედის რძეა. რძე კი, თავისი მხრივ, წყალს შეიცავს. შემდგომ, მთელი ცხოვრების მანძილზე, მას, როგორც მოზრდილ ადამიანს, სიცოცხლის შესანარჩუნებლად მუდმივად სჭირდება წყალი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან, როგორც ცნობილია, პირველი სიცოცხლე ზღვებსა და მდინარეებში ჩაისახა. სინესტეც წყალგარეული ჰაერია. ჰაერს რომ ტენიანობა არა ჰქონდეს, ის სუნთქვისათვის ვერ გამოდგებოდა. სიცოცხლეს განაპირობებს უჯრედებსა და მათ შორის არსებული სითხეების მუდმივი მოძრაობა. როცა ადამიანის ორგანიზმში სითხეების მოძრაობა ნორმალურად და მოწესრიგებულად მიმდინარეობს, ყველა ფიზიოლოგიური პროცესი კეთილად წარმართება. საკმარისია, დაირღვეს ამ ცხოველყოფილი

წველების დინება, რომ ხდება დაავადების წინა კლინიკური ნიშნების გამოვლინება.

ადამიანის ორგანიზმში ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების წარმართვისათვის აუცილებელია სუფთა სასმელი წყლის მიღება, რომელიც არ შეიცავს მავნე მინარევებს (მძიმე მეტალების მარილებს, რადიონუკლიდებს, პათოგენურ ბაქტერიებს, ჭარბ მინერალებს და ა. შ.). ასეთ იდეალურ სითხედ მიჩნეულია წყაროს წყალი, რომელსაც უნდა ჰქონდეს ორგანიზმში არსებული სითხეების სტრუქტურასთან ძლიერ მიახლოებული შემადგენლობა. უჯრედები მხოლოდ ამ შემთხვევაში ათვისებენ გარედან მიღებულ წყალს ზედმეტი ენერჯის დაუხარჯავად და ისიც ეფექტურად ჩაერთვება ორგანიზმის ბიოქიმიურ პროცესებში. ყოველივე ეს კი ორგანიზმს უდიდეს სარგებლობას მოუტანს. სუფთა (ცოცხალი) წყალი აკაჟებს ორგანიზმს, კურნავს დაავადებათა უმრავლესობას. იგი უნდა მივიღოთ, როგორც ხალხური და ალტერნატიული, ასევე კლასიკური მედიცინის საშუალებებთან ერთად. თუ მსოფლიოში სასმელი წყლის ნაკლებობაა (გრუნტის წყლების დაბინძურება) და მისი მარაგი კატასტროფულად კლებულობს (დედამიწის მთელი წყლის მარაგიდან სასმელად გამოსადეგია 1 პროცენტი), საქართველოში არსებული მტკნარი წყალი ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა და მის მხოლოდ 0,75 პროცენტს ვიყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მდიდარია მტკნარი წყლით, ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმ წყალსა სვამს, რომელიც არ შეესაბამება ნორმით დადგენილ სანიტარულ—ჰიგიენურ მოთხოვნებს. გარეგანი ფაქტორების მიხედვით (შესახველობა, გემო, ფერი, სუნი) ძნელია დავადგინოთ ერთობ სუფთა და გამჭვირვალე წყლის ვარგისიანობაც კი. ამგვარი სანდო გარეგნობის წყალი შეიძლება შეიცავდეს კანცეროგენებს, დიოქსიდებს, კადავერინს, ნახშირწყალბადებსა და ა. შ. უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნებაში არსებული წყალი თითქოსდა “მარტივი შენაერთია”, მაგრამ სინამდვილეში რთული და მრავალფეროვანი სითხეა. ამის მოდასტურება ის, რომ არსებობს წყლის 50-მდე ნაირსახეობა. ყოველი სახეობა ერთმანეთისგან განსხვავდება. ყოველ მათგანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენერჯია აქვს, რაც განაპირობებს მის ბიოლოგიურ ვარგისიანობას. ამას ისიც ემატება, რომ, ჩვეულებრივი წყლის გარდა, არსებობს მძიმე წყალი (135-მდე იზოტოპური სახეობისა), რაც ბევრ საიდუმლოს ინახავს. სასმელი წყლის ვარგისიანობა უნდა დადგინდეს ლაბორატორიული ანალიზის გზით. იგი აუცილებლად უნდა გამოირჩეოდეს მალ-

ალი ხარისხით, უპასუხებდეს მაღალ სტანდარტებს, იყოს ეკოლოგიურად სუფთა, დაბალანსებული მინერალური შემადგენლობისა. ორგანიზმმა (განსაკუთრებით ბავშვისამ) იგი ადვილად უნდა მონიწილოს. განსაკუთრებით სახიფათოა ბუნებრივი ზედაპირული წყლები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს მავნე ორგანიზმებს: ბაქტერიებს, წყალმცენარეებს, ვირუსებსა და ა. შ.

მსოფლიოში წყლის დამუშავების ყველაზე მარტივ და მისაღებ ხერხად მიჩნეულია ქლორირების მეთოდი, მიუხედავად იმისა, რომ ის ვერ სპობს ვირუსებსა და პარაზიტულ დაავადებებს. ამასთანავე, ქლორს შეუძლია ქიმიურ რეაქციაში შევიდეს წყლის ორგანულ ნივთიერებებთან და წარმოქმნას ტოქსიკური ნაერთები. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ კიბოს დაავადების 30 პროცენტი გამოწვეულია წყლის ქლორირებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემით, არსებულ დაავადებათა 80 პროცენტი გამოწვეულია უხარისხო წყლის მოხმარებით. წყლის დაჭუჭყიანების გამო მსოფლიოში ყოველწლიურად ავადდება 500 მილიონი ადამიანი; დაავადებების რაოდენობა კი არ მცირდება, პროგრესულად მატულობს. მრავალ ქვეყანაში მკვეთრად მცირდება ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. მაშ, დაჭუჭყიანებული წყალი იწვევს არაერთ დაავადებას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მეცნიერი ეძებს წყლის გაწმენდის ახალ ხერხებს (ოზონირება, იონიზაცია და ა. შ.), სუფთა წყლის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, რადგან ყოველ მათგანს თან ახლავს მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებები. ასე, მაგალითად, მაღალი ძაბვის გატარების მეთოდი იწვევს ცოცხალი წყლის

კვლამას (სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტას), რაც ხელოვნურად თიშავს მოსახლეობის გონებრივ იმუნიტეტს, აქვეითებს მეხსიერებას, მასობრივად აჩლუნგებს აზროვნებას და ადამიანებს ამყოფებს ნახევრადმძინარე, ინერტულ მდგომარეობაში.

ადამიანის ორგანიზმში წყალი განთავსებულია მის ყველა უჯრედულ სტრუქტურაში. პროცენტულად ეს განაწილება ასე გამოიყურება: თავის ტვინში—85 პროცენტი, კუნთებში—76 პროცენტი, კანში—72, ცხიმოვან ნაწილებში—20, ღვიძლში—16, სისხლის პლაზმაში—92, ძვლებში—13, კბილის ემალში—მხოლოდ 3 პროცენტი. ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ყველაზე ინტენსიურად მომუშავე ორგანოები წყლის დიდ რაოდენობას შეიცავს. რამდენადაც მეტ “აქტიურ წყალს” შეიცავს, ორგანიზმს მით მეტი სასიცოცხლო ენერგეტიკა აქვს (მაგალითად, ბავშვებში) და, პირიქით, რამდენადაც ის ნაკლებია, მით უფრო სუსტია ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა (მაგალითად, ხანდაზმულებში). სხეულის ძირითად მასასთან წყლის ნორმალური რაოდენობა (მოზრდილებში—70, ბავშვებში—80, დღენაკლულ ჩვილებში—85 პროცენტი) ადამიანს ყოფნის არაუმეტეს 3 დღე-ღამისა, და, ეს მაშინ, როცა მას შეუძლია საკვების მიუღებლად ერთი თვე გაძლოს

(რასაკვირველია, ეს მიმედ აისახება ბავშვებზე). სითხეების მომატებული სიბლანტისას, რაც გამოწვეულია უჯრედებში წყლის ნაკლებობით, ნორმალურად ვერ სრულდება შესაბამისი ფიზიოლოგიური ფუნქციები.

„ ადამიანის ორგანიზმში წყლის შემცირება, თავდაპირველად იწვევს წყურვილის შეგრძნება, 5 პროცენტით დანაკარგისას ის ექცევა უგონო მდგომარეობაში, და 10 პროცენტის დანაკარგი კი სიკვდილის მიზეზი ხდება.

ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ჯანმრთელი და დაამარცხებს დაავადებებს, თუ მიღებული სასმელი წყლის სტრუქტურა და შემადგენლობა მიახლოებული იქნება ადამიანის ორგანიზმში არსებული წყლის სტრუქტურასთან. წყლით გაჯერებული ორგანიზმის სისხლი ჩვეულებრივ შეიცავს 94 პროცენტამდე წყალს, ხოლო უჯრედის შიგნით არსებული ე. წ. “იდეალური წყალი”—75 პროცენტს. ეს სხვაობა ქმნის ოსმოსურ წნევას, რაც წყალს აძლევს საშუალებას, შევიდეს უჯრედებში და აქტიურად ჩაერთოს აქტიურ ფიზიოლოგიურ პროცესებში. ეს გახლავთ: ბიოქიმიური რეაქციები, აირებისა და ნივთიერებების ტრანსპორტირება, ნერვული იმპულსების მიღება — გადაცემა და ასე შემდეგ. აქედან მთავარია, რომ ყველაზე მეტად ის ენათესავება სამყაროს უნივერსალურ ენერჯიას—ელექტრონს.

ბავშვისათვის მისაღები წყალი უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა და მინერალური შემადგენლობით დაბალანსებული, ადვილად მოსანელებელი. იგი ყველანაირად უნდა შეესაბამებოდეს ჩვილის სათუთ ორგანიზმს. თავიდანვე სწორად შერჩეული სასმელი წყალი განაპირობებს ყმაწვილის გონებრივ-ფიზიკურ სიჯანსაღეს და მის კარგ ემოციურ განწყობას. ამასთანავე, ვიტამინები და მინერალები მზარდი ორგანიზმის ის “აგურებია”, რომელთაგანაც ზოგადად, ჯანმრთელი სხეული შენდება. მათ დეფიციტს მწვავედ განიცდის ორგანიზმი, რადგან საჭირო მიკროელემენტების დეფიციტისას ხდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, პრობლემებური ხდება საკვების მონელება და ბავშვის ნორმალური განვითარება. ამ ამ დროს ყმაწვილი იწყებს ჭირვეულობას, კარგავს მადას და ცუდათ სძინავს. აქედან გამომდინარე, მშობელი ვერ ინარჩუნებს ემოციურ წონასწორობას და ის გაუთავებლად დადის ექიმებთან. ამას კი აუცილებლად მოჰყვება ძვირად ღირებული აბებისა და მიქსტურების მიღება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობისათვის არასასურველი შედეგები.

ცნობილია: ბავშვის ორგანიზმს დიდი რაოდენობით სჭირდება წყალი, რაკილა ის მოზრდილთან შედარებით 2—ჯერ მეტ სითხეს კარგავს. ამიტომ ბავშვს თავის წონასთან შედარებით გაცილებით მეტი სითხის მიღება შეუძლია, ვიდრე ზრდასრულ ადამიანს. ეს პროპორცია პედაგოგების მიერ დადგენილია და არის კილოგრამ წონაზე 150 მლ, ე. ი. 4 კილოგრამიანი ბავშვი უნდა ღებულობდეს 600 მლ სითხეს. ხელოვნურ კვებაზე მყოფი ნორჩი დღე-ღამეში აუცილებლად უნდა ღებულობდეს 100-

150 მლ სუფთა სასმელ წყალს. 10 კილოგრამიანი ყმაწვილი ყოველდღურად უნდა დებულობდეს დაახლოებით 1 ლიტრა წყალს, ხოლო წონით 10 კილოგრამზე მეტმა ყოველ კილოგრამზე უნდა მიიღოს დამატებით 50 მლ წყალი. ახალშობილისათვის რამდენიმე დღის განმავლობაში წყლის მიცემა საჭიროც არ არის, რადგან მისი ორგანიზმი საკმარისად არის მომარაგებული საკვებითა და სითხით. ჯანმრთელი ჩვილი უპრობლემოდ მოიცდის მანამ, სანამ მის დედას მოუვა რძე. შემდეგ კი ის დედის ხსენთან ერთად მიიღებს სასარგებლო და აუცილებელ ნივთიერებებს. წყლით გაჯერებული დედის რძე საუკეთესო საშუალებაა ჩვილის წყურვილის მოსაკლავად. ორგანიზმში წყლის ბალანსის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია ზაფხულის პერიოდში, როცა ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო ბავშვიცა და ზრდასრულიც კარგავენ დიდი რაოდენობით წყალს. გარდა ამისა, ზაფხულში ხშირია ვირუსული თუ საკვებისმიერი დიარეა, რაც უმეტეს შემთხვევაში ორგანიზმის სითხისგან დაკლას იწვევს. ამ დროს ბავშვი ძალიან ჭირვეულობს, ხშირად ტირის, ხარბად სვამს წყალს, კანი გამომშრალი და ფერმკრთალია, ენა მშრალია, ნორჩი მცირე რაოდენობით გამოყოფს მუქი ფერის შარდს და ა. შ. ყოველივე ეს მიუთითებს ორგანიზმში წყლის რაოდენობის მკვეთრ უკმარისობასა და წყლის ბალანსის დარღვევაზე.

წყალი, რომელიც აკმაყოფილებს ჯანმრთელობისათვის საჭირო სანიტარულ ნორმებს, თავისი მხრივ, მოითხოვს სწორი სმის რეჟიმის დაცვას, რათა ორგანიზმში უზრუნველყოფილი იყოს ნორმალური წყალ-მარილოვანი ბალანსი და შეიქმნეს ცხოველმომქმედებისათვის კეთილსასურველი პირობები. წყლის ბალანსის შენარჩუნება გულისხმობს ადამიანის ორგანიზმის ცხოველმომქმედების პროცესში გარედან მიღებული და ორგანიზმიდან გამოყოფილი წყლის ერთნაირი რაოდენობის დაფიქსირებას. ამ ბალანსის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დარღვევები, სიკვდილიც კი. სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს და წყნჩვეულებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ სითხესთან, ეფექტური საშუალებაა მისი ნამდვილი არსის გასაგებად. წყალი სამყაროს შინაგანაწესის მესაიდუმლედ ითვლება და მსოფლიოს მრავალი კულტურა მას სულის ფუნქციას აკისრებს.

თანამედროვე მეცნიერებას წყლის შესახებ ამომწურავი კი არა, მიახლოებითი ინფორმაციაც არ გააჩნია. პარადოქსია: მაშინ, როცა ასტრონავტები წყალს ეძებენ სხვა პლანეტებზე, მიწიერ მეცნიერებს მისი თვისებების ახსნაც არ შეუძლიათ. დიას, ის ძალიან უცნაური სითხეა და მეცნიერება იმ დონემდე ჯერ კიდევ არ ასულა, რომ მისი უცნაურობანი ლოგიკურად ახსნას. ამ მხრივ მედიცინაც ერთობ ჩამორჩენილია. ამ დარგის სამეცნიერო-კვლევითი არსენალი და სამკურნალო ღონისძიებები მიმართულია მხოლოდ მკვრივი სხეულის (ძვალ-კუნთოვანი სისტემა, შინაგანი ორგანოები, ტვინი და ნერვული სისტემა და ა. შ. } შესწავლისაკენ. ეს კი შეად-

გენს ორგანიზმის 20 პროცენტს, ხოლო სხეულის 80 პროცენტი წყლის სახით სათანადო ყურადღებას ვერ იმსახურებს. სინამდვილეში კი ორგანიზმის თხიერ გარემოში მიმდინარეობს ძირითადი ბიოქიმიური რეაქციები და ნივთიერებათა ცვლის სასიცოცხლო პროცესები. ეს გაურკვეველობა წყლის თვისებების ცოდნაში მიზეზია იმისა, რომ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უვარგისი წყალი, რომელიც პოტენციურად 13 000 ტოქსიკურ ელემენტს შეიცავს, იწვევს დაავადებათა 80 პროცენტს. ამ გზით ყოველწლიურად ავადდება 500 მილიონი ადამიანი, ხოლო იღუპება 25 მილიონი.

დასამალი როდია: რომ კლინიკურ მედიცინაში ერთობ გაძნელებულია ე. წ. სისტემური დაავადებების მკურნალობა, როდესაც დაზიანებულია შემაერთებული ქსოვილის სტრუქტურები, სადაც დიდი რაოდენობით არის განთავსებული უჯრედ-შორისი ნივთიერებები საყრდენი, ტროფიკული (კვებითი) და დაცვითი ფუნქციების შესასრულებლად. აქ იგულისხმება საკუთრივ შემაერთებული ქსოვილი, ხრტილი, ძვალი, დენტინი, სისხლი, ლიმფა. შემაერთებული ქსოვილის ნორმალურ მოქმედებას დიდად განაპირობებს აქტიური (სუფთა) წყალი, რომლის ნაკლებობასაც განიცდის მსოფლიოს მოსახლეობა. ექიმებისათვის თითქმის სრულიად უცნობია, რა ფაქტორები არეგულირებს ქსოვილების სიცოცხლის-უნარიანობას, ნაწიბურების წარმოქმნას, ქირურგიული ოპერაციების შემდგომ ჭრილობის შეხორცებასა და სხვა დაავადებების დროს დაკარგული ფუნქციების აღდგენას. ექიმებისათვის უცნობია შემაერთებული ქსოვილის დამოკიდებულება სხვა ორგანოებისადმი და ისიც, თუ რა მექანიზმები განაპირობებს მის დაუღალავ აღდგენით-ქსოვილოვან უნარიანობას. რა არის სკლეროზით მიმდინარე ორგანოების (ფილტვების, გულის, სისხლძარღვების, თირკმლების, ღვიძლისა და ა. შ.) ქსოვილის კვდომის მიზეზი. ღვიძლის ციროზი ყოველთვის არის შემაერთებული ქსოვილით გამოწვეული ორგანოს შეჭმუხვნა. ასე, რომ ადამიანის ორგანიზმში წყლის ბალანსის დარღვევის პათოგენეზი და კლინიკა მოითხოვს მიზანმიმართულ მეცნიერულ კვლევას, მის თეორიულ-პრაქტიკულ დახვეწასა და ეფექტური სამკურნალო საშუალებების მიზანმიმართულ შერჩევას.

ლიტერატურა:

1. - Лосев К. С. Вода. Л. 1989
2. - Неумывакин И. П. Вода- жизнь и здоровье (Мифы и реальность). М. -Спб. 2006
3. —დოლიძე ივორ, რატომაა წყალი სკანდალური საიდუმლოს მატარებელი?, ფენომენი, 2005, 8, 6-8
4. - მასარუ ემოტო, წყალი... და მისი საოცარი თვისებები, ფენომენი, 2005, 8, 4-5
5. - დოლიძე ივორ, წყალი— სამყაროს შინაგანაწესის მესაიდუმლეა... ფენომენი, 2012, 3, გვ. 7-9; 2012, 4, გვ. 14-16.

რეზიუმე

წყალი-ბავშვის ჯანმრთელი სიცოცხლის აკვანი

მ. მ. დ. პროფ. იმ. დოლიძე

ადამიანის ორგანიზმი, როგორც ცნობილია, მჭიდროდაა ჩართული სამყაროს ერთიან ინფორმაციულ ველში, სადაც წყალი ასრულებს საიდუმლოებით მოცულ მისტიკურ ფუნქციონირებას (ეს იქნება სამყაროში არსებული ინფორმაციის მიღება, მისი შენახვა და მიზნობრივი გადასაწილება, აზროვნება, სმენადობა თუ ბიოენერგეტიკული ტევადობა და აქტივობა, მოძრაობა, ემოციურობის გამოხატვა და ა. შ.).

სიცოცხლის საოცრება დედის სხეულში ჩაისახება და ადამიანის ნაყოფიც თავის განვითარებას წყალში იწყებს და მთელი ცხოვრების მუდმივ რეჟიმში აგრძელებს მასთან ურთიერთკავშირს. სიცოცხლე უწყლოდ არ არსებობს. ადამიანი, მათ შორის უპირატესად ბავშვი, ჯანმრთელი იქნება და დაამარცხებს დაავადებებს, თუ მიღებული სასმელი წყლის სტრუქტურა და შემადგენლობა მიახლოებული იქნება ორგანიზმში არსებულ წყლის სტრუქტურასთან. ეს კი მოითხოვს მიზანმიმართულ მეცნიერულ კვლევას, რათა დავადებით ორგანიზმში დარღვეული წყლის ბალანსის პათოგენეზი და კლინიკური თავისებურებანი. ეს საშუალებას მოგვცემს ეფექტურად წარვმართოთ ბავშვთა ასაკში პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებები.

SUMMARY

WATER THE CRADLE OF A CHILD'S HEALTH

Prof. IG DOLIDZE, PhD MD

Human organism is tightly involved in united informational field, where water has a mystic and clandestine function (like receiving information, saving it and spreading it intentionally, bioenergetics capacity, expressing emotions and etc)

When embryo is already active in mother's body, Human fetus starts developing in water and continues to have connection through whole life. Human, especially child, is healthy and easily recover from any illness, if structure and composition of water is similar to water inside child's organism. This demands aimed scientific research, to observe pathologies and clinical peculiarities of water during various diseases. This will enable us to effectively direct prophylactic and treating activities.

ქ. ბათუმში სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის
გავრცელება კუბერტაბულ ასაკში

თამარ რუხაძე, სალმე ღლონტი.

ბსუ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, კლინიკური თერაპიის დეპარტამენტი
ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო კლინიკა „პარაცელსი“.

პრობლემის აქტუალობა:

პუბერტატული, ანუ სქესობრივი მომწიფების პერიოდი ადამიანის ონტოგენეზის საკვანძო, კრიტიკული პერიოდია. ზრდასრული ადამიანის ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი მიუძღვის ენდოკრინული, სასქესო და ვეგეტატიური სისტემების ჯანსაღ ფუნქციონირებას. გოგონებში მენსტრუალურ-ოვარიული ფუნქციის დარღვევა ხშირად დაკავშირებულია ენდოკრინული სისტემის დაავადებებთან, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია (61%-96%). მეორე მხრივ, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს უჭირავს პირველი ადგილი აჭარაში, როგორც საქართველოს იოდდეფიციტურ რეგიონში, მცხოვრებ ბავშვთა ენდოკრინულ დაავადებებთა შორის, სადაც აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში დიფუზური არატოქსიური ჩიყვით ავადობის 20%-ზე მეტი რეგისტრირდება.

კვლევის მიზანი:

სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის კლინიკური გამოვლინებების სიმწირისა და თირეოიდული პათოლო-

გიის სიხშირის გათვალისწინებით იოდდეფიციტურ აჭარაში მცხოვრებ ბავშვთა შორის, პუბერტატულ ასაკში მენსტრუალურ-ოვარიული ციკლის დარღვევების მაღალი კორელაციის გამო თირეოიდულ პათოლოგიასთან, კვლევის მიზანია სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის გავრცელების შესწავლა ქ. ბათუმში მცხოვრებ პუბერტული ასაკის გოგონებში.

მასალა და მეთოდები:

გამოკვლეული იყო ქ. ბათუმში მცხოვრები 11-დან 15 წლამდე ასაკის 112 გოგონა. მათ უტარდებოდათ ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია მაღალმგრძობიარე (7, 5MHz) ხაზოვანი ტრანსდუსერით ფარისებრი ჯირკვლის მოცულობის განსაზღვრით და ექოსტრუქტურის შესწავლით საერთოდ მიღებული მათოლიკით (Acuson X300, Siemens). ყველა გამოკვლეულს სისხლის შრატში განესაზღვრა თირეოტროპული ჰორმონი (TSH), თავისუფალი თიროქსინი (fT4) და ანტისხეულები თიროიდპეროქსიდაზას მიმართ (AT-TPO) მაღალმგრძობიარე მეთოდით იმუნოფერმენტულ ანალიზატორზე Bio Tek EL 301 (USA) სტანდარტული ნაკრების RADIM (იტა-

ლია) გამოყენებით. ნორმის საზღვრები: TSH 0,4–4,1 IU/ml ; fT4 0,8–2,0 Ng/dl ; AT-TPO <40 U/ml. მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხორციელდებოდა სტიუდენტის კრიტერიუმების გამოყენებით, სარწმუნოების კოეფიციენტი $p < 0,05$.

შედეგები:

პაციენტები ($n=122$) გაყოფილი იყო 2 ჯგუფად. პირველ ჯგუფში ($n=54$) შევიდა გოგონები მენსტრუალურ-ოვარული ციკლის დარღვევის გარეშე, მეორე ჯგუფში ($n=68$) – მენსტრუალურ-ოვარული ციკლის დარღვევით. ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპიური გამოკვლევით პირველ ჯგუფში თირეოიდული პათოლოგია გამოვლინდა 54-დან 12 გოგონას, (22%), მათგან 10 შემთხვევა – დიფუზური ჩიყვი (83%), ხოლო 2 – ფოკალური აუტოიმუნური თირეოიდიტი (17%). გამოკვლეულთა ამ ჯგუფში ფარისებრი ჯირკვლის პორმონების გამოკვლევით ყველა შემთხვევაში გამოვლინდა ეუთირეოზის მდგომარეობა (TSH-ის საშუალო დონე შეადგენდა 1,32 IU/ml; fT4-ისა 1,21 Ng/dl). ეუთირეოზის ფონზე AT-TPO-ს დონის მომატება 150 U/ml- მდე გამოვლინდა აუტოიმუნური თირეოიდიტის ულტრაბგერითი სურათის მქონე ერთ გოგონას. მეორე ჯგუფში ულტრაბგერითი გამოკვლევით ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია გამოვლინდა 68-დან 29 გოგონას, რამაც შეადგინა 41% ($p < 0,05$). ამ ჯგუფშიც ჭარბობდა დიფუზური ჩიყვი – 29-დან 22 გოგონას (76%), 7 მათგანს გამოვლინდა აუტოიმუნური თირეოიდიტი (24%). მეორე ჯგუფში პორმონალური სტატუსის შესწავლით ეუთირეოზი (TSH-ის საშუალო დონით 1,53 IU/ml; fT4-ის საშუალო დონით 1,20 Ng/dl) გამოვლინდა 69-დან 47 გოგონას (69%, $p < 0,05$); 6 შემთხვევაში გამოვლინდა მინიმალური თირეოიდული უკმარი-

ლობა (TSH -ის საშუალო დონე 3,1 IU/ml; fT4–1,1 Ng/dl); 12 შემთხვევაში (17%) – სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი (TSH-ის საშუალო დონე 5,6 IU/ml; fT4–0,99 Ng/dl); 3 შემთხვევაში (5%) მანიფესტური ჰიპოთირეოზი (TSH-ის საშუალო დონე 9,8 IU/ml; fT4–0,75 Ng/dl). გოგონებს მინიმალური თირეოიდული უკმარისობით ექოსკოპიურად აღენიშნებოდათ დიფუზური ჩიყვი. სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი ექოსკოპიურად კორელირებდა დიფუზურ ჩიყვთან 10 შემთხვევაში, 2 შემთხვევაში – აუტოიმუნურ თირეოიდიტთან. მანიფესტური ჰიპოთირეოზის 3 შემთხვევაში ყველა პაციენტს ექოსკოპიური სურათი შეესაბამებოდა აუტოიმუნურ თირეოიდიტს. თირეოიდპეროქსიდაზას მიმართ ანტისხეულების ტიტრი ზომიერად მომატებული (საშუალოდ 52 U/ml-მდე) იყო სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის ჯგუფში. მნიშვნელოვანი მომატება (საშუალოდ 198 U/ml-მდე) მანიფესტური ჰიპოთირეოზის ჯგუფში.

მსჯელობა და დასკვნები:

ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის სუბკლინიკური და მანიფესტური დარღვევებით მიმდინარე პათოლოგიის სისხირის სარწმუნო მომატება ქ. ბათუმში მცხოვრებ პუბერტატული ასაკის მენსტრუალურ-ოვარული ციკლის დაღვევების მქონე გოგონებში, მიუხედავად საქართველოში მიმდინარე მასიური, უალტერნატიული იოდირებული მარილით მომარაგებისა. ამ გამოკვლევის შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ პუბერტატული ასაკის გოგონები საჭიროებენ მეტ ყურადღებას პედიატრებისა, ენდოკრინოლოგებისა და გინეკოლოგების მხრიდან ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის გამოსავლენად, განსაკუთრებით მენსტრუალურ-ოვარული ციკლის დარღვევების დროს.

რეზიუმე

ბათუმში სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის გავრცელება პუბერტულ ასაკში

თ. რუხაძე, შ. გლონტი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური თერაპიის დეპარტამენტი
ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო კლინიკა “პარაცელსი”

მიზანი: ბათუმში სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის გავრცელება პუბერტულ ასაკში შესწავლა
მეთოდები: გამოვიკვლიეთ 112 ბათუმში მცხოვრები გოგო (11-დან 15 წლამდე). მათ ულტრაბგერითი კვლევა ჩატარდა. დადგინდა TSH, FT4 და AT-TPO-ს დონე სისხლში.

დასკვნა: გამოკვლევამ ცხადყო, რომ პათოლოგიის (ფარისებრი ჯირკვლის სუბკლინიკური და მანიფესტური ფუნქციის მოშლა) სიხშირე იზრდება პუბერტული ასაკის გოგონებში ბათუმში.

SUMMARY

SPREADING OF SUBCLINICAL HYPOTHYREOSIS IN PUBERTAL AGE IN BATUMI

T. RUKHADZE; S. GLONTI.

Batumi Shota Rustaveli state university's clinical therapy department Batumi republic clinical hospital clinic "Paracels"

Aim of the research: aim of the research is to study spreading of subclinical hypothyreosis in pubertal aged girls living in Batumi.

Material and methods: in the research was examined 112 girls living in Batumi aging from 11 to 15. They were examined by ultrasound examination of thyroid. TSH, FT4 and AT-TPO was defined in each of the examined girl's blood serum.

Conclusions: the research showed reliable growth of pathology due to subclinical and manifestal function's disorder of thyroid in pubertal aged girls living in Batumi.

ბავშვთა პარაზიტული დაავადებები და ასაკი

PARASITIC DISEASES OF CHILDREN AND AGES

დ. ცხომელიძე, ი. ხაბეიშვილი, დ. ჩახუნაშვილი, ბ. ჯანელიძე, მ. კუტია,
თ. ქასრაშვილი, ნ. ნიშნიანიძე (თსსუ)
D. TSKHOMELIDZE, IR. KHABEISVILI, D. CHAKHUNASHVILI, B. JANELIDZE,
M. KUTSIA, T. KASRASHVILI, N. NISHNIANIDZE (TSMU)



როგორც ცნობილია პარაზიტები და მათ მიერ გამოწვეული დაავადებების მეტი წილი განსაკუთრებით მგრძობიარეა ადამიანთა და ცხოველთა გარკვეული ასაკობრივი ჯგუფების მიმართ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ბავშვები და ცხოველთა ნაშიერები, რომელთა შორისაც დასნებოვნებისა და დაავადების მიმდინარეობის ასაკი მკვეთრად ლიმიტირებულია და არც თუ ისე იშვიათად ფატალურად მთავრდება (ასე მაგალითად, აშშ-ში Toxocara Canis -ით ძაღლის ლეიკოციტებისა და კნუტების საკმაოდ დიდი რაოდენობა არის ინფიცირებული. ამ ჭიის სასიცოცხლო ციკლი სრულყოფილია მხოლოდ ლეიკოციტებში, მაშინ როდესაც ზრდასრულ ძაღლებში მეორე სტადიის ლარვა განიცდის ინციტირებას სხვადასხვა ქსოვილებში. ორსულ მდედრებში ლარვები შეიძლება გააქტიურდნენ, გავიდნენ პლანცენტაში და შეიჭრან ნაყოფში, სადაც ხდება მათი სასიცოცხლო ციკლის დასრულება. ბავშვების მჭიდრო კონტაქტი ლეიკოციტებთან ფაქტიურად ხშირად მოიხსენიება როგორც პარაზიტული დაავადების გადაცემის ფაქტორი და მეტწილად სწორედ ბავშვები არიან ამ დაავადებით დასნებოვნებულნი(1) სხვა პარაზიტული ჭია Strongyloides Fuelleborni აღწერილი იქნა პაპუა ახალ გვინეასა და საჰარის ქვემოთ მდებარე აფრიკულ ქვეყნებში. მას ახასიათებს დაავადების გამოწვევის განსაკუთრებული მიდრეკილება ძირითადად მხოლოდ 4 წლამდე ასაკის ბავშვების მიმართ, რომელიც საკმაოდ ხშირად ფატალური შედეგით მთავრდება. ამ დაავადებას სხვანაირად ჰქვია "გაბერილი მუცლის სინდრომი" და მის წყაროდ მიჩნეულია დედის რძე. (2)

საქართველოში გავრცელებულია ვისცერული ლეიშმანიოზი, რომლითაც ძირითადად ავადდებიან 2-4 წლის ბავშვები, თუმცა დაავადებამ მნიშვნელოვნად მოიმატა 1996 წლიდან მოზრდილი ასაკის პოპულაციაში. აგრეთვე გაიზარდა ვისცერული ლეიშმანიოზის გამოვლენის სიხშირე სპეციფიკური მკურნალობის ჩატარებიდან 1-4 თვის შემდეგ(3) ასევე საინტერესოა ის მოვლენა რომ 2004 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ვისცერული ლეიშმანიოზი დაფიქსირებული იყო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში რეგიონებში, მაგრამ 2004 წლიდან იგი დაფიქსირდა ქუთაისშიც(-საფინხის მიკროკერა) 2004 წლიდან დღემდე ქუთაისში აღრიცხულია ვისცერული ლეიშმანიოზის 17 შემთხვევა. დაინვაზირებულთა ამ რაოდენობიდან ექვსი თვიდან ორ წლამდე ასაკის იყო 7 ბავშვი, ხოლო 2-5 წლის ასაკი 5 ბავშვი, და 20-დან 54 წლამდე 5 ავადმყოფი (3)

ჩვენი ჯგუფის მიერ დაფიქსირდა კანის ლეიშმანიოზის 4 შემთხვევა, მათ შორის ერთი ქალაქ ქუთაისში. დაავადებულთა ასაკი 16-დან 44 წლამდე მერყეობდა და რაც ყველაზე საოცარია მათგან მხოლოდ ერთმა იცოდა რომ იგი კანის ლეიშმანიოზით იყო დაავადებული. ასაკი ამ შემთხვევაში არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს.

1911 წლის 10 ივლისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტისა (ხელმძღვანელი პროფ. ნ. ხვიციანი) და სტუდენტთა თვითმართველობის ინიციატივით ჩატარდა, ლეიშმანიოზის საწინააღმდეგო შემცენებითი აქცია კუს ტბის მიდამოებში, სადაც სპეციალისტების მიერ აღსნა-განმარტებითი საუბრები მიეძღვნა ლეიშმანიოზით დაავადებისა და საჭირო დაცვითი ღონისძიებების საკითხებს (4)

In the United States, a high percentage of puppies and kittens are infected with *Toxocara Canis*. The life cycle of *T. canis* appears to be completed only in puppies. In adult dogs the second-stage larva encysts in various tissues. In pregnant bitches, these larvae can become active and migrate across the placenta, infecting the fetal pup, where the life cycle is completed. At the same time the close association of young children with their pets has been cited frequently as a factor in the transmission of parasitic disease. Hence, it is not surprising that this segment of the population is the most vulnerable to this diseases.

Strongyloides felleborni is a species causing human strongyloidiasis, which has been described from Papua new Guinea and sub-Sahara Africa. This species has a predilection for young children under 4 years of age, causing a frequently fetal condition known as swollen belly syndrome (SBS). The source of the infective larva is believed to be mother's milk.

In areas with animal reservoirs, such as the Mediterranean Basin, visceral Leishmaniasis mainly affects children of 1 to 4 years of age; it is caused mainly by *L. infantum*, transmitted by phlebotomine sandflies, and dogs are the most important reservoir. In Georgia the first peak increasing of decease registered 1952-63 years, second from 1996 years, when it has been going today. and Leishmaniasis mainly affects children from 5 months up to 4 or 5 years.

The babies who are more than 4 or 5 years mostly have more developed immunity against *Strongyloides Felleborni*, *P. falciparum*, *L. Infantum* and so on, but for other diseases which were caused for example by *Dipylidium Caninum* most human infections are in children younger than 8 years, with a high percentage falling in the under -6 months. What is going on with immunity of baby, what

kind of changes occurs up to 4- 5 years and why these limited ages underline so difference between infected and uninfected children. At the same time Georgian Scientists established 17 cases of VL in non-endemic regions (Kutaisi) where mostly were affected by VL children from 6 months up to 2 years

ლიტერატურა:

1. Burton J. Bogitsh. Clint E. Thomas, N. Oeltman-Human Parasitology; Third edition- 2005, P - 265, 278, 353-354

2. ნ. ხვიციანი, ე. მჭედლიშვილი, ნ. ყურაშვილი-სამედიცინო პარაზიტოლოგია-2011 ; გვ. 152, 180

3. ნ. კოკია, ხ. მელია, მ. მანჯგალაძე, რ. ბურდილაძე-ვისცერული ლეიშმანიოზის მკურნალობისა და ეპიდემიოლოგიის ახალი მონაცემები -

პარაზიტოლოგიის აქტუალური პრობლემები საქართველოში-2011, გვ 57-62

4. გ. ნამორაძე, ც. დიღებაშვილი, ლ. ფირცხელაშვილი- "ქ. თბილისში პარაზიტულ დაავადებათა გავრცელების დინამიკა"

პარაზიტოლოგიის აქტუალური პრობლემები საქართველოში-2011, გვ 62-70

რეზიუმე

„ბავშვთა პარაზიტული დაავადებები და ასაკი“

დ. ცხომელიძე, ი. ხაბეიშვილი, დ. ჩახუნაშვილი, ბ. ჯანელიძე,
მ. კუსტია, თ. კასრაშვილი, ნ. ნიშნიანიძე (თსუ)

საქართველოში გავრცელებულია ვისცერული ლეიშმანიოზი, რომლითაც ძირითადად ავადდებიან 2-4 წლის ბავშვები, თუმცა დაავადებამ მნიშვნელოვნად მოიმატა 1996 წლიდან მოზრდილი ასაკის პოპულაციაში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული კვლევების შედეგად, ეს დაავადებები დაფიქსირდა 6 თვიდან 2 წლამდე ბავშვებშიც.

SUMMARY

“PARASITIC DISEASES OF CHILDREN AND AGES”

D. TSKHOMELIDZE, IR. KHABEISVILI, D. CHAKHUNASHVILI, B. JANELIDZE,
M. KUTSIA, T. KASRASHVILI, N. NISHNIANIDZE (TSMU)

Visceral Leishmaniasis is very popular disease in Georgia, which infects children from 2 up to 4 years. Although, since 1996 the number of infected adult people has increased. There's one more interesting fact about this disease; after researches done in the different regions of Georgia, Visceral Leishmaniasis was detected in children from 6 months up to 2 years.

ნოზოკომიური ინფექციები – თანამედროვე პედიატრიის ინოვაციური პრობლემა

თამარ მახარაძე –
„ბავშვთა ახალი კლინიკის“ ინფექციური კონტროლის სპეციალისტი

საავადმყოფოსშიგა ინფექციები თანამედროვე მედიცინის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მათ **ნოზოკომიური** ინფექციების სახელწოდებითაც იცნობენ, რადგან ინფექციების წარმოშობა - დაკავშირებულია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან. ჰოსპიტალური ინფექციების სახელწოდებით ცნობილია ყველა ინფექცია, რომელიც არ აღენიშნებოდა პაციენტს საავადმყოფოში შემოსვლამდე და არც ამ ინფექციის ინკუბაციურ პერიოდში იმყოფებოდა. ეს შეიძლება იყოს ე. წ. ტრადიციული ინფექციური დაავადებები (კლასიკური ინფექციური დაავადებები) და არატრადიციული ინფექციური დაავადებები (მაგალითად, ჩირქოვან-ანთებითი ან სეპტიკური ინფექციები), რომლებიც ვლინდებიან სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ან სტაციონარიდან გაწერის შემდეგ გახანგრძლივებული ინკუბაციური პერიოდის გამო (მაგალითად, ინპლანტატის გადანერგვის შემდეგ, ვირუსული ჰეპატიტების დროს). ხანგრძლივი დროის მანძილზე, საავადმყოფოსშიგა ინფექციებზე ითვლებოდა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ხდებოდა პაციენტების დაინფიცირება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ამჟამად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (იხილეთ ს. შ. ი-ს მიეკუთვნება სამედიცინო პერსონალის დაავადებებიც, რომლებიც მათ დაემართათ თავიანთი პროფესიული საქმიანობისას. რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, მსოფლიოში დროის ნებისმიერ მონაკვეთში დაახლოებით 1,4 მილიონზე მეტი ადამიანი დაავადებულია ნოზოკომიური ინფექციებით. განვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე ტიპის საავადმყოფოებში მოთავსებული პაციენტების 5-დან 10%-მდე ავადდება ერთი ან მეტი ინფექციით. სხვადასხვა მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში ეს რიცხვი 2-20 - ჯერ უფრო მაღალია. აშშ-ში ყოველი 136 ჰოსპიტალიზებული პაციენტიდან 1 მიმდებარე ავადდება საავადმყოფოსშიგა ინფექციის გამო, რაც წლის განმავლობაში შეესაბამება 2 მილიონ შემთხვევასა და დაახლოებით 80000 სიკვდილს. ყოველწლიურად, ინგლისში ნოზოკომიური ინფექციების 100000 შემთხვევიდან 5000

ლეტალურად მთავრდება.

2005 წლის 13 ოქტომბერს **ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პაციენტთა უსაფრთხოების მსოფლიო ალიანსმა** წამოიწყო

საერთაშორისო მოძრაობა დევიზით **“სუფთა მკურნალობა – უსაფრთხო მკურნალობა”**, რომლის მოქმედების 5 ძირითად

არედიკანსაზღვრავს: **სუფთა ხელები, სუფთა პრაქტიკა, სუფთა პროდექტები, სუფთა**

გარემო, **სუფთა** აღჭურვილობა.

2006 წლის 5 მაისს **პაციენტთა უსაფრთხოების საქართველოს ალიანსმა** მიიღო

ინფექციური კონტროლის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის

გადაწყვეტილება დევიზით - **“საქართველო მალე შეიძლება ანტიბიოტიკის გარეშე**

დარჩეს!” განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

პერიოპერაციული ანტიბიოტიკური პროფილაქტიკა, რაციონალური ანტიბიოტიკური

თერაპია, ხელების ჰიგიენის გაუმჯობესება და ინფექციური კონტროლის

ეროვნული რეკომენდაციების შექმნა.

2006 წლის 3 ივლისს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო მოძრაობას **“სუფთა**

მკურნალობა – უსაფრთხო მკურნალობა” და აღებულ იქნა ქვეყანაში

ნოზოკომიური ინფექციების დაძლევის ხელშეწყობის ვალდებულება.

სწორედ ამ მიზნით შ. პ. ს. „ბავშვთა ახალ კლინიკაში“ შეიქმნა ინფექციური კონტროლის სამსახური, რომელიც ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს და მიმართულია ნოზოკომიური ინფექციების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინფექციური კონტროლი, ეს არის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ეფუძნება ეპიდემიოლოგიური დიაგნოსტიკის მონაცემებს და მიმართულია სამკურნალო – პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ინფექციურ დაავადებათა აღმოცენებისა და გავრცელების პროფილაქტიკისთვის.

ყველა სამედიცინო დაწესებულება თავისებურად უნიკალურია (პროფილის, სამედიცინო პერსონალის და პაციენტების მიხედვით), ამიტომ ინფექციური კონტროლის პროგრამა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ადაპტირებული მოცემული დაწესებულების თავისებურებებთან და მოთხოვნებთან. ამასთან, არსებობს რამდენიმე ძირითადი სტრუქტურულ-ფუნქციური კომპონენტი, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციური კონტროლის სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის.

ინფექციური კონტროლის სამუშაო ჯგუფის მთავარი ფიგურაა ჰოსპიტალური ეპიდემიოლოგი და პროგრამის ძირითადი ამოცანებიც მისი ფუნქციონირებადგინებიდან გამომდინარეობს:

➤ საავადმყოფოსშიგა ინფექციების გამოვლენა და აღრიცხვა;

➤ მათი განვითარების რისკ-ფაქტორების დადგენა და შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;

➤ მედ. პერსონალისა და პაციენტებისათვის ჰიგიენური საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

➤ დეზინფექციასა და სტერილიზაციაზე კონტროლი;

➤ ბრძანებების მიხედვით ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და ნორმების შესრულებაზე კონტროლი და მათი დარღვევის თავიდან აცილება;

➤ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და დასკვნების გაკეთება.

უკვე შემუშავდა კონკრეტული ნოზოკომიური ინფექციების განმარტებები (საშარდე სისტემის, სისხლის და სხვა ინფექციების), რომლებიც არის შემუშავებული აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC-ის) მიერ, საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოიყენება ნოზოკომიური ინფექციების სამეთვალყურეოდ. როგორც ზემოთ აღნიშნულ, პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში საავადმყოფოს შიგნით ინფექციებს ახასიათებთ ზრდის ტენდენცია, რაც რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული:

• ინვაზიური (დამაზიანებელი დაშლადი) სამკურნალო-დიაგნოსტიკური მანიპულაციების მკვეთრი ზრდა;

• იმუნოდეპრესანტების და ანტიბიოტიკების ფართოდ, ხშირად უკონტროლოდ გამოყენება და აქედან გამომდინარე საავადმყოფოებში მიკროორგანიზმთა ანტიბიოტიკორეზისტენტული შტამების მკვეთრი ზრდა;

• ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა სტრუქტურის გარკვეული ცვლილებები (ხანშიშესულ პირთა, დასუსტებული ბავშვების და ისეთი პაციენტების ხვედრითი წილის ზრდა, რომლებიც დაავადებულნი არიან ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებებით)

საავადმყოფოს შიგნით ინფექციების ეტიოლოგიური სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, მათ შორის გვხვდება ბაქტერიები, ვირუსები, უმარტივესები, სოკოები. თუმცა შემთხვევათა თითქმის 90% ბაქტერიებზე მოდის. პირობითად გამოიწვევები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. ადამიანის ობლიგატური პათოგენური მიკროორგანიზმები;
2. ადამიანის პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმები.

პირველ ჯგუფში შედის „ტრადიციული“ (კლასიკური) ინფექციების, მაგალითად სასუნთქი გზების ინფექციების გამომწვევები (წითელა, წითურა, დიფთერია, ქუნთრუშა, ყბაყურა), ნაწლავთა ინფექციების გამომწვევები, (სალმონელოზი, შიგელოზი, ჰეპატიტი), საფარი ქსოვილის ინფექციების გამომწვევები (B და C ჰეპატიტები), და ა. შ. ამ დაავადებების თანდართვა საგრძობლად ამძიმებს ძირითადი დაავადებების მიმდინარეობას, განსაკუთრებით ბავშვთა საავადმყოფოებში და სამშობიარო სახლებში. ამ ჯგუფის დაავადებებზე მთლიანობაში მოდის მთელი ჰოსპიტალური ინფექციების დაახლოებით 15-20%. მეორე ჯგუფში, რომლებზეც მოდის მთელი შემთხვევების 80-85%, შედის დაავადებები, რომელთაც პირობით პათოგენური მიკროორგანიზმები იწვევენ. ეს ჯგუფი წარმოდგენილია სხვადასხვა ეტიოლოგიის და კლინიკური მიმ-

დინარეობის მქონე ინფექციური დაავადებებით, რომლებიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია სამკურნალო-დიაგნოსტიკურ პროცესებთან. ამ დაავადებათა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ჩირქოვან-ანთებით (ჩირქოვან-სეპტიურ) დაავადებებს, რომლებიც ხასიათდებიან ლოკალური ანთებითი პროცესებით, რომელიც შეიძლება დაჩირქდეს, და რომელთაც აქვთ მიდრეკილება გენერალიზაციისადმი და სეფსისის განვითარებისადმი. გამომწვევებიდან დომინირებს სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, გრამუარყოფითი ბაქტერიები (ნაწლავის ჩხირი, კლებსიელები, პროტეუსი, სერაციები და სხვა). ეტიოლოგიური სტრუქტურა დროში შეიძლება საგრძობლად შეიცვალოს. მაგალითად ბოლო წლებში იზრდება გრამუარყოფითი ბაქტერიების და მცირდება გრამდადებითი ბაქტერიების როლი ჰოსპიტალურ პათოლოგიაში. საინტერესოა თუ როგორია სხვადასხვა პათოლოგიის ხვედრითი წილი ჰოსპიტალურ ინფექციებში. ამერიკელთა მონაცემებით მათ ქვეყანაში ს. შ. ი. -ის 29% მოდის ქირურგიული ჭრილობების ინფექციებზე. ყველაზე მეტი 45%-შარდსასქესო ტრაქტის ინფექციებზე, 19%-პნევმონიებზე. ლეტალობის ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ პნევმონიები ქმნიან, რომლებიც ხშირად ვითარდება რეანიმაციულ, ინტენსიური თერაპიის, ქირურგიულ განყოფილებებში. დანარჩენი ინფექციების ხვედრითი წილი დიდი არ არის და 6-7%-ს შეადგენს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჰოსპიტალური ინფექციების მკურნალობასა და პროფილაქტიკაზე დახარჯული თანხების 42%-ს შთანთქავენ ჭრილობის ინფექციები. პნევმონიებს მეორე ადგილი უკავიათ-39%. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში აღნიშნული პარობლემა არასაკმაღარისადაა აღიარებული. საავადმყოფოების პერსონალის უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა ნოზოკომიური ინფექციების კონტროლისა და მართვის საკითხებზე. ანტიბიოტიკების გამოყენება ხშირად ხდება უკონტროლოდ და დაუსაბუთებლად. კლინიკების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს ინფექციური კონტროლის სისტემა. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ჩატარდა რამდენიმე მცირე მასშტაბის კვლევა, რომელთა შედეგებიც ნათლად აჩვენებენ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში ნოზოკომიური ინფექციების მნიშვნელოვან ტვირთს და მულტირეზისტენტული მიკროორგანიზმების მაღალგავრცელებას. იმისათვის, რომ ქვეყნის მასშტაბით მივაღწიოთ გარკვეულ შედეგს, საჭიროა თითოეულმა სამედიცინო მუშაკმა დაინახოს და გაათავიონობიეროს ამ საკითხის პრობლემურობა და აქტუალობა, მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს ინფექციური კონტროლის პროგრამის მუშაობას და ამით თავისი მცირე წვლილი შეიტანოს მეტად მნიშვნელოვან საკაცობრიო საკითხში.

გამოყენებული ლიტერატურა:
2nd Edition AIHA Infection Control Manual
„ ინფექციური კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში” – გაილდაინი

რეზიუმე

ნოსოკომიური ინფექციები – თანამედროვე მედიცინის მნიშვნელოვანი პრობლემა

თ. მახარაძე –

„ბავშვთა ახალი კლინიკის“ ინფექციური კონტროლის სპეციალისტი

პრობლემა: საავადმყოფოში ინფექციები თანამედროვე მედიცინის მნიშვნელოვანი პრობლემას წარმოადგენს მათ შორის საქართველოშიც.

მიზანი: კლინიკებში ნოსოკომიური ინფექციების პრევენცია

დასკვნა: იმისათვის, რომ ქვეყნის მასშტაბით მივალწიოთ გარკვეულ შედეგს, საჭიროა თითოეულმა სამედიცინო მუშაკმა დაინახოს და გაათავისუფლოს ამ საკითხის პრობლემურობა და აქტუალობა, მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს ინფექციური კონტროლის პროგრამის მუშაობას და ამით თავისი მცირე წვლილი შეიტანოს მეტად მნიშვნელოვან საკაცობრიო საკითხში

SUMMARY

NOSOCOMIAL INFECTIONS – THE ONE OF THE MAIN PROBLEMS IN MODERN MEDICINE

T. Makhharadze – Specialist of Infection Control specialist “Children’s New Hospital”

Problem: Nosocomial infections is one of the main problems in Georgian medical field as well.

Purpose: Prevention of Nosocomial Infections in Clinics

Conclusion: In order to reach some progress all over the state, each medical worker should understand and realize the problem’s actuality, assist and take part in infection control program and make the change in the subject themselves.

ნავლის მიერი პათოლოგიური სინდრომები

რუსუღან ჯაში

მედიცინის დოქტორი, კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის ხელშეწყობის კავშირი - „უპირველესია, არ ავნო“, ევრომეცნიერების საქართველოს სექციის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი

მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მათი რაციონალური მოხმარების შემთხვევაში, როგორც ჯანდაცვის პროფესიონალების, ასევე საზოგადოების მიერ. სამკურნალო საშუალებების არარაციონალურ გამოყენებას მივეყვართ ჯანმრთელობის გაუარესებისაკენ, გვერდითი მოვლენების სისშირის მატებისკენ და შესაბამისად ჯანდაცვის ხარჯების ზრდასთან

მედიკამენტების რაციონალური გამოყენება ბევრად და მოკიდებული წამლების გვერდითი ეფექტების და არასასურველი შედეგების გათვალისწინებაზე. როგორც იუტას შტატის (აშშ) საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, ფარმაკოლოგიური საშუალებების გამოყენების შედეგად 22000 ავადმყოფიდან 2,43%-ს არასასურველი შედეგები გამოუვლინდა. სიკვდილიანობამ ამ ჯგუფში შეადგინა 3,5% დანარჩენი 1%-ის წინააღმდეგ. ამის გარდა, საავადმყოფოში დაყოვნება

იყო 1,5-2-ჯერ უფრო ხანგრძლივი. გარდა იმისა, რომ მოთიანობაში აშშ-ში ესციფური მოიცავს დაახლოებით 14000 გარდაცვლილს წელიწადში და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ დანაკარგებსაც, რაც უტოლდება გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებით განპირობებულ დანაკარგებს.

წამალთა გვერდითი მოვლენების გამო პაციენტების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი გარდა იმისა, რომ სერიოზულ სამედიცინო ჩარევას საჭიროებს, ასევე მძიმე ფინანსურ ტვირთად აწევს საავადმყოფოებს. ზოგიერთ ქვეყანაში მედიკამენტების გვერდითი მოვლენების შედეგად მიღებული კლინიკური გართულებების აღმოსაფხვრელად საავადმყოფოს ბიუჯეტის 15-20% იხარჯება.

რამდენიმე ათწლეული დასჭირდა იმის გაგებას, რომ ასპირინი აზიანებს კუჭ-ნაწლავის სისტემას, ამილოპირინი შეიძლება აგრანულოციტოზის მიზეზი გახდეს, ფენაცეტინის ხანგრძლივმა მიღებამ კი შეიძლება თირკმლის აპილარული ნეკრო-

ზი გამოიწვიოს, ასევე რამდენიმე წელმა განვლო სანამ ფოკომელიას ტალიდომიდით მკურნალობასთან დაკავშირებდნენ.

განვითარებულ ქვეყნებში გვერდით მოვლენებზე სათანადო ორგანიზებისათვის ინფორმაციის მიწოდება განისაზღვრება კანონით, რომლის თანახმადც ყველა სუბიექტი, რომელიც მედიკამენტების გამოყენებისას დააფიქსირებენ გვერდით ეფექტს, ვალდებული არის აცნობოს ფარმაკოზედამხედველობის ფედერალურ და რეგიონალურ ორგანოებს.

ამისგარდა, არ შეტყობინების შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს დისციპლინარულ, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობებსაც.

გვერდითი რეაქცია – ეს არის ნებისმიერი არასასურველი ან გაუთვალისწინებელი რეაქცია წამალზე, რომელიც, როგორც წესი, საჭიროებს დამატებით მკურნალობას ან მკურნალობის ტაქტიკის შეცვლას.

პათოგენეზის მიხედვით მედიკამენტების ურთიერთქმედებით გამოწვეული გვერდითი რეაქციები იყოფა: ფარმაკოდინამიკურ, ტოქსიკურ, ალერგიულ, ფსევდო-ალერგიულ, იდიოსინკრაზიულ, მეორად (სუპერინფექცია) და მოხსნის სინდრომებად

სიმძიმის მიხედვით გვერდითი რეაქციები იყოფა:

1. ფატალური – მოითხოვს რეანიმაციულ ღონისძიებებს – მიიმე ანაფილაქსიური შოკი
2. მიიმე – მოითხოვს ინტენსიურ თერაპიას – მორგან ადამს-ტოქსის სინდრომი, ლაიელას-სინდრომი)
3. საშუალო სიმძიმის – მოითხოვს მედიკამენტების შეცვლას და სპეციალური თერაპიის ჩატარებას)
4. მსუბუქი – არმოითხოვს პრეპარატის შეცვლას, გაივლის თავის-თავად ან დროის შემცირების შემდეგ.

გვერდითი მოვლენების განვითარების ხასიათის მიხედვით რეაქცია შეიძლება იყოს:

A ტიპის-დოზა დამოკიდებული, განსაზღვრული (ფარმაკოდინამიკური, ფსევდალერგიული, ტოქსიკური, მეორადი, მოხსნის სინდრომი, მედიკამენტების ურთიერთქმედება)

B ტიპის-დოზა დამოკიდებული, გაუთვალისწინებელი - (ალერგიული, იდიოსინკრაზიული)

გვერდითი მოვლენების კავშირი გამოიყენებულ მედიკამენტთან შეიძლება იყოს:

განსაზღვრული – როცა რეაქცია მუდავნდება მედიკამენტის მიღებიდან მკაცრად განსაზღვრული პერიოდის შემდეგ და ასევე მისი განმეორებითი მიღების შემდეგაც.

შავარაუდო – როცა რეაქცია გამოქვამდა მედიკამენტის მიღების შემდეგ და ვერ იქნებოდა გამოწვეული სხვა პრეპარატის მიერ ან გვერდითი მოვლენები ქრება პრეპარატის მიღების შეწყვეტის შემდეგ.

შესაძლებელი – როცა რეაქცია მუდავნდება პრეპარატის მიღებასთან მკაცრად განსაზღვრული მოსალოდნელი კავშირის გარეშე და შესაძლებელია ჰქონდეს სხვა ეტიმოლოგია, რაც არ არის დაკავშირებული მოცემული მედიკამენტის მოქმედებასთან.

საეჭვო – როცა რეაქცია თავს იჩენს შავარაუდოს ხვამიხებით

ვეროკავშირის ქვეყნებისათვის მედიკამენტის მიღებასა და გვერდითი რეაქციას შორის მიზეზ-შე-

დეგობრივი კავშირის შესაფასებლად შემუშავებულ კლასიფიკაციას უწოდებენ

„ABO სისტემას“, რომლის დროსაც გამოიყოფა წამლის მიღებასა და გვერდითი რეაქციას შორის ურთიერთკავშირის მტკიცებულების მხოლოდ სამი ხარისხი

A - შეტყობინება შეიცავს საკმარის მტკიცებულებას მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა იმისათვის, რომ ჩავთვალოთ იგი დამაჯერებლად, საწმუნოდ, მაგრამ არა მაღალი ხარისხის

B - შეტყობინება შეიცავს საკმარის ინფორმაციას, იმისათვის, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შესაძლებლად ჩავთვალოთ, ანუ იგი უშუალოდ არ არის და არც შეჭველია, თუმცა ეს კავშირი გარკვეული არ არის და შეიძლება საეჭვოც კი იყოს, (მაგ. არასაკმარისი მტკიცებულების

რითმების გამოყენებით

-პირველი ორი მიდგომის შერწყმით

-ეტიოლოგიურ -დიაგნოსტიკურ კრიტერიუმების შეფასება

წამალისა და გვერდითი მოვლენების უეჭველი ურთიერთკავშირის განსასაზღვრავად საკმარისად ფართოდ გამოიყენება ნარანჟოს მეთოდი.

ნარანჟოს სკალით 10 კითხვაზე მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით დგინდება წამალი – გვერდითი რეაქციების უეჭველი ურთიერთკავშირის ხარისხის კატეგორიები, როგორცაა:

- დადგენილი (9 დამეტიქულა)
- სავარაუდო (5 – 8 ქულა)
- შესაძლებელი (1 – 4 ქულა)
- საეჭვო (0 დანაკლები)
- ნარანჟოს მეთოდი
- გვერდითი რეაქციები – წამალი ურთიერთკავშირის შეფასებისათვის

შეკითხვა	კი	არა	უცნობია
იყოფა რეაქციის მიზეზი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წამალი მიღებული იქნა?	+1	0	0
გვერდითი რეაქცია წარმოიშვა განხილული შემთხვევის მიზეზის შემდეგ?	+2	-1	0
გაუმჯობესდა თუ არა ავადმყოფის მდგომარეობა მედიკამენტის ასპეციური კურირების შემდეგ?	+1	0	0
განახლდა თუ არა გვერდითი რეაქცია მედიკამენტის განმეორებითი მიღების შემდეგ?	+2	-1	0
არის თუ არა სხვა მიზეზი გვერდითი რეაქციისთვის, გარდა მიღებული მედიკამენტისა?	-1	+2	0
იყოფა რეაქცია მედიკამენტის მიღების შემდეგ (ან სხვა სახის მიზეზით)	+1	0	0
ტოქსიკური კონცენტრაციით?			
მოიმატა თუ არა გვერდითი რეაქცია მედიკამენტის დოზის გაზრდის შემდეგ ან თუ მოიკლო გვერდითი რეაქცია მედიკამენტის შემცირების შემდეგ?	+1	0	0
აღნიშნულ შემთხვევაში ავადმყოფი აღრეც		0	0
ანალოგიური რეაქციის იმავანსხვანაირი შემთხვევების მიხედვით იმის დროს?			
იყოფა რეაქცია გვერდითი რეაქციის მიზეზი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წამალი მიღებული იქნა?		0	0
აღნიშნულ შემთხვევაში გვერდითი რეაქცია პლაცებოს დანიშნის შემდეგ?	+1		0

ან სხვა გვარი ახსნისათვის მონაცემების არარსებობის გამო.)

0 - შეტყობინება, რომელშიც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რაიმე მიზეზების გამო არ ეჭვმიტანილობა შეფასებას (ურთიერთ საწინააღმდეგო მონაცემები ან მათი არარსებობა დასხვა)

ამასთან ვეროკავშირის (ეკ) ქვეყნების უმრავლესობა განაგრძობს საკუთარი ნაციონალური კლასიფიკაციების გამოყენებას მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განსხვავება ნაციონალურ ცენტრებში გამოყენებულ კლასიფიკაციებს, ჯანმრთელობის დაცვის შორის.

მეთოდური მიდგომების უმრავლესობა პირობითად შეიძლება დაფიქსირდეს შემდეგ ჯგუფებად:

- სუბიექტური შეფასება ექსპერტის (ექსპერტების) მიერ
- სტანდარტული შეფასება სხვადასხვა კითხვარების, ალგო-

გვერდითი რეაქციებისაგან უნდა განვასხვავოთ პრეპარატის გადაჭარბებული დოზით მიღების ნიშნები, რაც განპირობებული შეიძლება იყოს ჭარბი დოზით ან მგრძობელობის მომატებით.

მედიკამენტოზურ საშუალებებზე გვერდითი რეაქციებს შორის გამოყოფენ წამლის მიერ პათოლოგიურ სინდრომებს, როგორცაა: ცნობილი, არაკეთილსაიმედო და ხშირად განმეორებადი რეაქციები.

აღრენერგული კრიზი-სინდრომი ვითარდება მონოამინოქსიდაზის ინჰიბიტორებზე – მალ (მეტამფეტამინი, ჰიდრაზინის ჯგუფი, ტრანილციპრომინი, მაკლობემიდი, ნეალამიდი), ჩვეულებრივ გამოვლინდება პიპერტონული კრიზით, არც თუ იშვიათად – ლეტალური გამოსავლით. როგორც წესი, აღმოცენდება მასონიზიბიტო-

რებისა და ტირამონის შემცველი პროდუქტების (მაგ. ყველი) მიღებისას. ამდროს იმატებს არტერიული წნევა, ჩნდება ქოშინი, ირღვევა გულის რითმი (არითმიები, პარკუჭისთრთოლვა), შეიძლება განვითარდეს სისხლჩაქცევა და ფილტვების შეშუპება. სუბიექტურად გამოვლინდება: შიში, თავისტკივილი, ტაქიკარდია, სისუსტე.

ნაყოფის ალკოჰოლური სინდრომი გამოწვეულია ბენზოდიამინების ჯგუფის ტრანკვილიზატორებით (დიაზეპამი, მედაზეპამი, პრომაზეპამი, ლორაზეპამი, ნიტრაზეპამი), თუ მათი დანიშნვა მოხდა ორსულობის პირველ ტრიმესტრში. სინდრომი კლინიკურად გამოვლინდება ჰიპოტონიით, ჰიპოთერმიით, სუნთქვის დათრგუნვით, ტრემორით, მოუსვენრობით და ახალშობილის კრუნხვებით. იგივე სინდრომი გვხვდება ბავშვებში, რომელთა დედები ჭარბად იღებდნენ ალკოჰოლს ორსულობის დროს.

ამფიტამინური ფსიქოზი-სინდრომი შეიძლება განვითარდეს დეპრესიული მდგომარეობის დროს არაკატექოლამინური სიმპტომიმიტიკებით თერაპიისას (დექსამფეტამინი, მეტამფეტამინი, ბენზამფეტამინი). ამ გზით, მართალია, კატექოლამინებსანთავისუფლებენთავისცნისში, მაგრამ ამავედროულად ხდება ნორადრენალინის და დოფამინერგული რეცეპტორების სტიმულირებაც, რადროსაც ამფეტამინებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მწვავე ტოქსიკური ფსიქოზის განვითარებას მხედველობითი პალუცინაციებით (როგორც წესი, 1-2 ძალიან მაღალი დოზის მიღების შემდეგ). ფსიქოზური სინდრომი ძალიან ჰგავს დეზორიენტაციის ხანმოკლე პერიოდებით მიმდინარე პარანოიდულ შიზოფრენიას. ეს სინდრომი განსაკუთრებით ვლინდება ნარკომაწებში. მხედველობის დარღვევა არის პალუცინაციების განვითარების, აზროვნებისა და სხეულის კავშირის მოშლის (რაც უფრო ნაკლებადაა გამოხატული, ვიდრე შიზოფრენიის დროს) უმთავრესი ფაქტორი. ასევე შეიძლება გამოვლინდეს ათეტოზის მსგავსი სიმპტომები სახისა და ენის არაბუნებრივი მოძრაობების სახით, ზედა და ქვედაკიდურების კრთომა უწყვეტივანმეორებადიგანსაზღვრულიმოძრაობებით.

ანტიკოაგულაციური იდეუსი-(არაქირურგიული მწვავემუცელი) იშვიათი გართულებაა ანტი-

კოაგულანტებით მკურნალობისას. უმთავრესად ამ სინდრომს ახასიათებს რეტროპერიტონიალური სისხლდენები - ხშირად ნაწლავის ინტრამურულიჰემატომები, ზოგჯერ თან ახლავს სისხლჩაქცევები ვისცერალურ პერიტონიუმში.

კლინიკური სინდრომი ძალიან ჰგავს მწვავე აპენდიციტის სინდრომს (ტკივილი მარჯვენა თეძოს ფოსოში, მუცლის ფარის ზომიერი დაჭიმვა და მისი გაღიზიანების ნიშნები).

პულსი გახშირებულია, არც თუ იშვიათად იმატებს ტემპერატურა, განავალი თხელია და შეიცავს სისხლს. ზოგჯერ პალპატორულად ისინჯება სიმკვრივე მარჯვენა თეძოს ფოსოში ნაწლავის კედელ სინფილტრაციის და რეგიონალური ლიმფური კვანძების გადიდების გამო.

არგიროზი უნვითარდებათ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე იღებენ ვერცხლის მარილების შემცველ პრეპარატებს ან დამწვრობის სამკურნალოდ (ვერცხლის სულფაზინი), ან ანტიესპტიკურ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებას, თვალის დაავადების დროს (თვალის წვეთები ვერცხლის ნიტრატით), აგრეთვე კუჭნაწლავის ტრაქტის თვით მკურანალობისას (ვერცხლის ნაყოფების დადნობის, გაღვანიზაციის შედეგად მიღებული კონცენტრირებული ხსნარი). შესაძლებელია დაავადების პროფესიული გენეზი.

მედიკამენტოზური არგიროზი ვლინდება კანის ნაცრისფერი ელფერით, ლორწოვანი გარსების ცისფერია (მეტალორი ვერცხლის შედეგად). როგორც წესი, არგიროზი არ იწვევს ადგილობრივ ანთებით ცვლილებებსა და ზოგად ინტოქსიკაციას, მაგრამ ზოგიერთ ავადმყოფს შეიძლება განუვითარდეს ნეფროპათია - ჰიპონატრემიით, ჰიპოკალემიით, ჰიპერქლორემიით, მინერალებისა და ვიტამინების დაკარგვით, მეტჰემოგლობინემიით.

ანალგეტიკებით გამოწვეული ნეფროპათიის სინდრომი ვითარდება სიცხის დამწვევი ანალგეტიკების დიდიხნის მანძილზე (წელიწადზე მეტი) გამოყენების დროს, განსაკუთრებით საშიშია ფენაცეტინი, **ამსინდრომს იწვევს აგრეთვე პარაცეტამოლი, აცეტილსალიცილისმჟავა, ანტიპირინი.** კლინიკური სინდრომი გამოხატულია ცხელებით, თირკმლის კოლიკით, თავისტკივილებით, დის-

პეფსიური მოშლილობებით, დიზურიული მოვლენებით, კემატურით. ანალგეტიკურნეფროპათიას, რომელიც გამოწვეულია აცეტილსალიცილის მჟავით, შეიძლება თან სდევდეს პეპტიური წყლულების წარმოქმნა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. განმეორებით მიღებისას გამორიცხული არ არის შარდსასქესო გზების ინფექციის განვითარება, ხანდახან აღინიშნება პოდაგრა და პიროვნების ცვლილებაც. ლაბორატორიული გამოკვლევებით ვლინდება პროტეინურია, ლეიკოციტურია, ანემია. თუ მკურნალობა გაგრძელდება ანალგეტიკებით, ვითარდება ჰიდრონეფროზი, პიელონეფროზი, ჰიპერტენზია, ურემია. პროგნოზი არაკეთილდამილოია, მაგრამ ნაკლებად მძიმე შემთხვევებში, პრეპარატის მოხსნისა და ადეკვატური სიმპტომური მკურნალობის ფონზე, ნეფროპათია შექცევადია.

უკანასკნელ წლებში ანალგეტიკებით გამოწვეული ნეფროპათიით დაავადებულებში აღმოჩენილია თირკმლის მეჩხის კანცეროზები და შარდის ბუშტის სიმსივნეები.

ბრომიზმი. სინდრომის განვითარებას იწვევს ბრომის შემცველი პრეპარატები (**კარბამალი, ბრომიზოვალი, ვალეოორდინი**), რომლებიც გამოიყენებიან საძილე საშუალებებად, მათ შორის კორონარული უკანასკნის დროს.

ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევის ფონზე (თავისტკივილი, ცნობიერების დათრგუნვა, ძილიანობა, ატაქსია, დიზარტრია) შეიძლება მოხდეს კანისდაზიანება - მზისგან დაუცველი ადგილების პიგმენტაცია, ფრისმჟამელების გაჩენა, ბრომოდერმა (გენერალიზებული ლაქის ან კვანძის მსგავსი გამონაყარი სახის კანზე, თავზე, ქვემოკიდურებზე, ზურგზე, სასქესოშიდამოებში). სინდრომი ხშირად ვლინდება სურდოთი (რინიტი), ცრემლდენით (კონუქტივიტი), სველი ხველებით (ბრონქიტი). ზოგჯერ ვლინდება მედიკამენტოზური სტიგმები, როგორცაა უკვე აღწერილი ბრომოდერმა, აგრეთვე ენის, პირის, ლორწოვანის და კონიუქტივების ყავისფერი შეფერილობა.

ბრონქოსპასტიური სინდრომი - ეს არის ფილტვის ვენტულაციური ფუნქციის დარღვევა, რომელიც ვლინდება ბრონქოსპასტიკით ზოგიერთი წამლის მიღების შედეგად, როგორცაა: **არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების ჯგუ-**

ფიდან ზოგიერთი წამალი (მაგ. იბუპროფენი, პროფენიდი), ბეტა ადენობლოკატორებიდან (კოგარდი, კორდანიუმი), არაინჰალაციური სანარკოზე (სომბრეფინი) თუ ალერგიის საწინააღმდეგო (პულმოსორტი) საშუალებებიდან, პისტამინობლო კატორებიდან (ნიზატიდინი), ანტიპროტოზოულებიდან (პენტიკარინატი), ლეიკოპოზის მასტიმულირებელი საშუალებებიდან (ლეიკომაქსი), ციტოსტატური (ფტორურაცილი), სპაზმოლიტიური (ნოვიგამი). საშიშა სუნთქვითი უკმარისობის გამოვლენის ან გადრმავების თვალსაზრისით, რაც კიდევ უფრო გააუარესებს ავადმყოფის მდგომარეობას.

ვისმუტის მიერ იენცეფალოპათია - სინდრომი შეიძლება განვითარდეს ვისმუტის პრეპარატების (ბისმოვეროლი სოლბისი, ბიოქსინოლი) ხანგრძლივი მიღების ფონზე. ეს პრეპარატები გამოიყენება კუჭნაწლავის ტრაქტისა და სიფილისის სამკურნალოდ.

კლინიკურად ვლინდება: ცნობიერების დათგუნვით, ტრემორით, მიოკლოზური კრუნხვებით, შებოჭილობით, პარესთეზიებით, ინტელექტის დაქვეითებით, სიარულის მანერის შეცვლით, ფსიქოზებით, პალეოცინაზიებით, უძილობით, კონველსიებით (ეპილეფსიის მსგავსი შეტევებით). ვისმუტის მიერ იენცეფალოპათიის ადრეული სიმპტომები სუსტადაა გამოხატული: საერთო სისუსტე, შრომისუნარიანობის დაქვეითება, ფსიქიკური ფუნქციების მოშლა (ისინი შეიძლება გამოვლინდნენ რამდენიმე წლის მანძილზე). ნევროლოგიური და ფსიქიკური სინდრომების გარდა ავადმყოფებს შეიძლება აღენიშნებოდეს კბილების გაუფერულება, ცისფერი არშიადრძილებზე, სტომატიტები, კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციის მოშლა, ფეკალური მასების შეფერვა რუხი ან შავი ფერით. ინტრამუსკულარული შეყვანის დროს შეიძლება გაჩნდეს ხორცმეტები კანზე. აღწერილია ვისმუტის მიერ მიკრონეფროპათიის შემთხვევები

გამოშრობის ეფექტი - ატროპინისა და ტროპინის მსგავსი ნივთიერებების (პიოსცინის, პრპანტელინის, ემეპრომის და იპრატროპიუმის ბრომიდების) მიღების ფონზე შეიძლება განვითარდეს ბრონქში და გამტარობის დარღვევის სინდრომი, რომელიც კლინიკურად სუნთქვითი უკმარისობით გამოვლინდება.

ნაყოფის ვარფარინის მიერ სინდრომი ვლინდება იმ ახალშობილებში, რომელთა დედეები ფეხმძიმობის პერიოდში იღებენ ანტიკოაგულანტებს (ვარფარინი, ფენინდონი), განსაკუთრებით საშიშა აღნიშნული მედიკამენტების ტერატოგენული მოქმედება, თუ მათ იღებდნენ ორსულობის მე-9 დამე-9 კვირას. მანკების განვითარების სისშირე ამ დროს შეადგენს 5%-ს. ახალშობილებს აქვთ წინამოწეული შუბლი, უნაგირის მსგავსი ცხვირი, ზემოსასუნთქი გზების ობსტრუქცია ხრტილის განვითარებლობის ფონზე, ეპიფიზების რეგიონში კალციფიკაციის ზონები (გამოვლინდება რენდგენოლოგიური გამოკვლევით).

ჰემოლიალიზური ენცეფალოპათია შეიძლება განვითარდეს ალუმინის შემცველი პრეპარატების გამოყენების დროს (ალუმინის ჰიდროქსიდი, ალუმინის გლიციტატი) ფოსფატების შესამცირებლად ჰემოლიალიზზე მყოფ პაციენტებში. ალუ მინი ამ დროს აკუმულირდება ტვინის რუხნივითიერებაში, სხვა ქსოვილებში. კლინიკურად ვლინდება დიზართრია - წარმოქმის დაუნაწევრებლობა, არტიკულაციის მოშლა მეტყველების ფუნქციაში მონაწილე ქსოვილებში არსებული დარღვევების გამო. არცთუ იშვიათად მეტყველება იძენს ცხვირის მიერ ელფერს, პრეპარატების მოხსნის შემდეგ დიზართრია აღადგება.

ჰემოლიზურ - ურემიული სინდრომი (ჰუს) აღწერილია ახალშობილებში ენიდემიის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემდეგ. პათოგენეზი - ალერგია. კლინიკურად გამოვლინდება ერთროციტების მასიური ჰემოლიზით (ანემია) თირკმელების ბლოკადით და ურემიის განვითარებით, რომელსაც მიჰყავს ლეტალურ გამოსავლამდე.

ჰემოსიდეროზი - სინდრომი ვითარდება რკინის პრეპარატის ხანგრძლივი გამოყენებისას და ორგანიზმის ქსოვილებში მისი კუმულაციის გამო. კლინიკურად ჰემოსიდეროზი აკეთებს ჰემოქრომატების (ღვიძლის ჰემენტური ციროზის, ღიაბეტის, სიდეროფილის) იმიტაციას. ზოგჯერ შეიძლება აღმოცენდეს ხანგრძლივი

ჰემოტრანსფუზიული თერაპიისას. აღინიშნება ჰემენტების (ჰემოსიდერინის, ჰემოფუსცინის) დაგროვება ღვიძლში, კუჭკვეშა ჯირკვალში, ლიმფურ კვანძებში,

მიოკარდში და სხვა ორგანოებში, რომლებიც შემდგომში განიცდიან სტრომის კოლაგენიზაციას და პარენქიმის თანდათანობით კვლამას. ამას მიყვარათ ღვიძლის ციროზის, კუჭკვეშა ჯირკვლის სკლეროზისა და შემდგომში შაქრიანი დიაბეტის, კარდიოსკლეროზის ჩამოყალიბებამდე. სინდრომის განვითარების წინასწარ განმწყობის ფაქტორებს მიეკუთვნება ჰიპოპროტინემია, მათ შორის ასაკობრივი ღვიძლის დაავადებები. ხანდახან ჰემოსიდეროზის გამოვლენას კანზე (სხვადასხვა ზომისა და ფორმის მუქი ყავისფერი ლაქები) საფუძვლად უდევს პირველადი კანის ჰემოსიდეროზის (მაიოკის, შამბერგის დაავადებები, ბლიუმის დერმატიტის) ჩამოყალიბება.

გენერალიზებული რევმატიული სინდრომი ვითარდება ჰიპერტონული დაავადების მკურნალობისას ჰიდრალაზინის (აპრესინი, აპრესოლინი), როგორც სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალების, 10-12 თვის განმავლობაში უწყვეტი მიღებისას, ასევე ეკლამფსიისა და თირკმლის მიერი ჰიპერტონიის დროს. სინდრომი ხშირად ვლინდება თირკმლის პათოლოგიის მქონე ქალებში. ის ვითარდება, როგორც ცქესი, ჰიდრალიზინის ნელა ცეტილატორ ავადმყოფებში. მათთან ხშირად ვლინდება სამკურნალო საშუალებების სხვაგვარ დითიეფექტებიც - ცხელება, გამონაყარი კანზე, ნეიროპათიები. შემწეულია, რომ, თუ ავადმყოფს ჰიდრალიზინის კურნალობის დასაწყისში აქვს ცხელება, იგი პოტენციურად წინასწარ განწყობილია რევმატიული სინდრომის განვითარებისათვის. ეს არის აუტოიმუნური პათოლოგიის ჰიდრალიზინის დნმ - ის საწინააღმდეგო ანტი სხეულების განვითარებით. კლინიკური სურათი ხასიათდება შემაერთებული ქსოვილის გენერალიზებული დაზიანებით (პოლიართრიტი, სეროზიტი, აბდომინალურისინდრომი, ნეიროფსიქოლოგიური დარღვევები მენინგოენცეფალიტი სადავასკულიტების დროს). პრეპარატის მოხსნის შემდეგ პათოლოგიური ცვლილებები თანდათან (9 წლამდე) ქრება. გენერალიზებული ფორმების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სისხლის დისკრაზიას.

ჰიპერლიპიდემიული სინდრომი ვითარდება ფარმაკოთერაპიაში ცხიმოვანი ემულსიების (ლიპოფუნ-

დინის) გამოყენების დროს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, მოშიშშილეების, კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების კვების დროს. კლინიკურად ეს სინდრომი გამოვლინდება ჰეპატომეგალიით, სიყვითლით, შემცივნებით, სისხლდენებით, ჰოპერლი პიდემით.

ავთვისებიანი პეტერმა. ამ სინდრომს იწვევს ზოგიერთი მიორელაქსანტი (სუქსამეთონიუმი), ასევე ანესთეტიკები, ხშირად კიდევ უფრო ძლიერი ნარკოტიკები სინდრომი გვხვდება სისხშირით 1/15000 (ბავშვებში)-დან 1/40000-მდე (მზრდილებში) ნარკოზის დროს. სინდრომს იწვევს სარკოპლაზმის რეტიკულუმიდან თავისუფალი კალციის უცვარი ჭარბი გამოთავისუფლება, რაც ასტიმულირებს კუნთების შეკუმშვას და ვითარდება ჰიპერმეტაბოლური მდგომარეობა. ნარკოზის დროს ან რამდენიმე საათის შემდეგ ქსოვილების მიერ ჟანგბადის მოხმარება იზრდება 2-3-ჯერ, სხეულის ტემპერატურა იზრდება 1*-ითყოველ 5 წთ-ში, აღწევს 43*-ს და ვითარდება ტაქიკარდია, ჩონჩხის კუნთების სრიგილობა, ტაქიპნოე, ჰიპოქსია, აციდოზი, ჰიპერკალიემია, ჰიპოკალცემია. კალიუმის გამოთავისუფლების ფონზე ვითარდება არითმიები. შარდში ჩნდება მიოგლობულინი, შარდში აღინიშნება ლაქტატდეჰიდროგენაზის მომატება, იმატებს აგრეთვე ტრანსამინაზები, ირდევს სისხლის შედელების ფუნქცია, შეიძლება ჩამოყალიბდეს დისემინირებული სისხლძარღვში დაშედელების სინდრომი. ათვისებიანი ჰიპერთერმიის სინდრომი აღწერილია აგრეთვე ზოგიერთი ადგილობრივი საანესთეზიო საშუალების გამოყენების დროსაც.

გიენბარეს სინდრომი წარმოადგენს პოლირადიკულონევრიტის ნაირსახეობას და ვითარდება ოქროს შემცველი პრეპარატებით (კრიზანოლი, ნატრიუმის აუტოტრიმალატი, აუროთიოგლუკოზა), აგრეთვე ბცქ-ს, ქოლერის, გრიპის, პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დროს. თავიდან წამლის მიერ აპოლინევრიტის მიმდინარეობა შედარებით კეთილთვისებიანია (ვეგეტატიური, სენსორული დარღვევები, რომლებიც გაქრება პრეპარატის შეცვლის შემდეგ), ხანგრძლივი მკურნალობის დროს შეიძლება განვითარდეს მოძრაობის დარღვევები (პარეზი, დამბლა, პროგრესირებადი პროქსიმალრად,

ქრება მყესძვალთარეფლექსები). ლიქორში იზრდება ცილის შემცველობა.

საკვერცხეების ჰიპერსტიმულაციის სინდრომი უვითარდებათ ქალებს გონადომასტიმულირებელი ჰორმონების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე (პერგოგონი, პრენილი, პროფაზი, ხომეგონი). გამოვლინდება ჰიპერესტროგენიზაცია: ნორმალური მენსტრუალური ციკლის დარღვევა (მენორაგია, მეტრორაგია, ამენორეა), ვითარდება სტერილობა ან მიდრეკილება ნაადრევი მშობიარობისაკენ. მენოპაუზის პერიოდში განახლება მენსტრუაციები ან წდება აციკლური სისხლიანი გამონადენი, დიდდება საშვილოსნო (მიომეტრიუმის ჰიპერტროფიის ხარჯზე) და სარძევე ჯირკვლები.

წამლისმიერი ჰიპერტენზიის სინდრომი – არტერიული წნევის მყარი მომატება ჰორმონალური პრეპარატების ხანგრძლივი მოხმარების ფონზე (მათ შორის კონტრაცეპტივების) ანტეოვისის, ჰიდროკორტიზონის, მინისისტონის, პრედნიზოლონის, დეპო-პროვერას, პრიგნოვა 21-ის, არსტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების (კლინორელი, ტოლექტინის), პროსტაგლანდილების (დინოპროსტის), იმუნომოდულატორის (სანდიმუმი). სიმსივნის საწინააღმდეგო (ეპირუბინიციინის), ვირუსის საწინააღმდეგო (ხივიდის), ანტიჰისტამინური (სულპირიდი) პრეპარატების მიღებისას.

კანის ჰიპოკოაგულაციური ნეკროზი. სინდრომი გვხვდება მხოლოდამხოლოდ იმ პაციენტებში, რომელთაც აქვთ მკვეთრი ჰიპოკოაგულაცია კუმარინისრიგის (აცენოკუმაროლი, ეტილბისკუმაცეტატი) პრეპარატის პირველსავე დოზაზე. არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 4 დღე-ღამისა, ცხიმით მდიდარი კანის უბნებში (სარძევე ჯირკვლები, მუცელი, დუნდულები, ბარძაყის, წვივისკუნთები) ჩნდება ვარდისფერი ფერის ლაქები, ანთებითი, მტკივნეული, შემოფარგლული, პისტოლოგიურად მწარცმან-სანარელის ფენომენის მსგავსი. მაღევე ჩნდება ერთმანეთში ჩაღვრილი პეტექიები, 24-სთ-ის შემდეგ კი – მკვეთრად გამოსაჯელი ჰიპერემიის ზონით შემოფარგლული წითელი კანქვეშა სისხლჩაქცევები, ვენების თრომბოზი იწვევს კანის ნეკროზს, აგრეთვე კანქვეშა ციმოვანი დაზოგჯერ უფრო დრმა შრეების ნეკროზსაც. ჰემორაგიუ-

ლი ბუშტუკების გაჩენა მიუთითებს შეუბრუნებელი ნეკროზის განვითარებაზე.

აღწერილი სინდრომი შეიძლება განვითარდეს კუმარინულიანტიკოაგულანტიკებითა და ინდალიონით მკურნალობის დაწყების პირველსავე დღეებში.

წამლის მიერი ჰიპოტენზიის სინდრომი – არტერიული წნევის მკვეთრი შემცირება ისეთი მედიკამენტების ხანგრძლივი მიღების ფონზე, როგორცაა: ანტიდიურესანტიები (იმიპრამინი), საძილე საშუალებები (ნირაზეპამი), დებიზების საწინააღმდეგო (ტორეკანი), პარკინსონის საწინააღმდეგო (ლეგოლოპა), ნეიროლეპტიკები (ტებერტინი, ციმოზიდი, პიპორტელი), ანტიანგინალური (ნიტროგლიცერინი, იზოსორბიდი, ინტერკორინი, კავინტონი, ნიმოტოპი, ნიფედიპინი, სისკორი), არითმიის საწინააღმდეგო (მექსელტანი, პულსნორმა), მიოლიტიკები (დუვანდილანი), ფიბრინოლიტიკები (სტრეპტოკინაზა), პროტეოლიზის ინჰიბიტორები (პოი), ლეიკოპოეზის სტიმულატორები (ლეიკომაქსი).

ჰიპოთირეოზი. ჰიპოთირეოზის სინდრომი შეიძლება განვითარდეს პირაზოლინის (ფენილბუტაზონი, ანალგინი) წარმოებულეების, ანტითირეოიდულ პრეპარატების (პროპილთიოურაცილი, მთილურაცილი), იოდისპრეპარატების, მათ შორის რადიოაქტიული (1/131), კობალტისპრეპარატების, ამოდარონის, ნატრიუმისფლოურატის, ნატრიუმისფლორიდისმიღების დროს. მას საფუძველად უდევს ფარისებული ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება ან სრული დათრგუნვა. დაავადება იწყება თანდათან, ავადმყოფი ადვილად იღლება, აქვს შენელებული მოძრაობები, ძილიანობა, შეკრულობა, კანი უხდება მშრალი, ფრჩხილები მტკრევადი, თმები მეჩხერი, ნაწილობრივ ცვივთ წარბები, სახე მრგვალდება, იძენს შებიჟინებულ ელფერს, ფერმკრთალია. შემუშება შეიძლება გავრცელდეს ყელზე, ხელის მტევნებზე, წვივებზე ხორხზე, სხეულის ტემპერატურა მცირდება. გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ გამოხატულიაბრადიკარდია, გულის ზომები გადიდება, ტონები – მოყრუებული, მცირდება არტერიული წნევა, ქალებს ერდევს მენსტრუალური ციკლი, იშვიათად დგება ორსულობა, იზრდება მკვეთრად შობადობის ალბათობა. ბავშვებს ჰიპოთირეოზის დროს აღენიშნე-

ბათ ზრდაში, გონებრივგანვითარებაშიწამორჩენა, დაგვიანებული სქესობრივი მომწიფება.

ჰონერის სინდრომი შეიძლება განვითარდეს სიმპტომი ტიკგუანტიდინის (ოქტადინის, ისმელონის, იზობარანის) ადგილობრივი გამოყენების დროს. ეს არის სიმპტომო-კომპლექსი, რომელიც მოიცავს გუგების შევიწროებას (მიოზი), თვალის ნაპრალის შევიწროებას, თვალის კაკლები ჩავარდნილია (ენოფთალმი), დარღვეულია თვალღუევის სიმპათიკური ინერვაცია.

დისემინირებული სისხლძარღვში და შედეგების სინდრომი (დსშს). ამ სინდრომს იშვიათად, მაგრამ მაინც იწვევს ზოგიერთი მედიკამენტისმიღება. ის შეიძლება განვითარდეს აცეტისალციტინისმიჯავის, ნატრიუმის სალიცილატის სუქსამეთონიუმის, პრომეტამინის (მალარიის დროს), პროსტაგლანდინინობროსტის, აგრეთვე სისხლის პრეპარატების, ჰეპარინის გამოყენების დროს. პათოგენურად სინდრომი დაკავშირებულია სისხლძარღვის შივნიტის სისხლის შედეგებისა და თრომბოციტების აგრეგაციის აქტივაციის მოხვედრასთან. შედეგების საწინააღმდეგო ფერმენტების გამოფიტვასთან, მიკროთრომბების წარმოქმნასთან და ორგანოებში მიკროცირკულაციის დარღვევასთან, რასაც მივყავართ თრომბოპეორაგიის, ჰიპოქსიისა, აციდოზის, დისტროფიისა და ორგანოების დისფუნქციის განვითარებასთან. ორგანოების ინტოქსიკაცია ხდება მეტაბოლიტებით და აღმოცენდება მეორადი სისხლდენები. მედიკამენტურდსშს, როგორც ვხედავთ, აქვს ალერგიული ხასიათი.

დიაბეტურისინდრომი (თირკმლისმიერიდიაბეტი) შეიძლება განვითარდესმარყუჟოვანიშარდმდენების (ფუროსემიდი, ეტაკრინისმიჯავა, ბუმეტანიდი) დანიშნისდროს. მასახასიათებსშაქრისდიდირაოდენობითგამოყოფაშარდთან ერთად მაშინ, როდესაც მისი კონცენტრაცია სისხლში ნორმალურია. მის წარმოშობას განაპირობებს დაკლაკნილი მილაკების პროქსიმალურ ნაწილებში გლუკოზის რეაბსორბციის დაქვეითება. სინდრომი უფრო ხშირად უვითარდებათ ფეხმძიმე ქალებს. ამპათოლოგიის დროს შარდში შაქრის შემცველობა მერყეობს 0-დან 3%-ამდე და უფრო მაღლა. ამ დაავადების ერთდერთი სიპტომია რისგლუკოზურია. დიაბე-

ტურისინდრომი, როგორცწესი, ალაგდებადიურეტიკების მიღების შეწყვეტასთან ერთად. მაგრამ ფეხმძიმე ქალებში იგი შეიძლება დარჩეს ფეხმძიმობის ბოლომდე.

დიფუზურიპოქსიის სინდრომი შეიძლება განვითარდეს ნებისმიერი აირის მსგავსი ან ესთეტიკითმკურნალობისას, მაგრამ უფრო ხშირად ვითარდება ანესთეზიოლოგიურ პრაქტიკაში მცირედხსნადი აირების გამოყენებისას (აზოტის ზეჟანგი კომბინაციაში ციკლოპროპანთან). მცირედხსნადი საანესთეზიო აირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარკოზის სწრაფ შეყვანას, გარკვეული ხარისხით აძეგებენ ჟანგბადს ალვეოლებიდან (ჰიპოქსემიურიპოქსია, უფრო ხშირად გართულებების ვარეშე). მაგრამ ავადმყოფებში, რომლებსაც აღენიშნებათ სუნთქვითი ან გულსისხლძარღვთა უქმარისობა, განვითარებული ჰიპოქსია შეიძლება გახდეს გულის გაჩერების მიზეზი განსაკუთრებით ხანგრძლივი ნარკოზის დროს. სინდრომი როგორც წესი ვლინდება ანესთეზიის ბოლოს, როდესაც აღარ ხდება დამხმარე ვენტილაცია.

ოქროს ნეფროპათია. სინდრომი ვითარდება ოქროს შემცველი პრეპარტებით ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად. ის იწვევს ციტოტოქსიურდამიუნურ ეფექტებს. ნეფროპათიას შეიძლება თან ახლდეს ოქროს შემცველი პრეპარატების სხვა გვერდითი მოქმედებები (აურანოფინი, აუროთიომალეატი, ტაურედინი, კრიზაიოლი), სტომატიტი, დერმატიტი, თრომბოციტოპენია და სხვ.

კლინიკურად ძირითადად ვლინდება შეშუპებები, ჰიპერთერმია, პროტეინურია, თუმცა ეს სინდრომები ყველა ავადმყოფთან ერთაირად არ მქლავნდება. განსაკუთრებით ეს ეხება ჰიპერტონიას. რაც უფრო ადრე ვითარდება მკურნალობის დაწყებიდან ნეფროპათია, მით უფრო ცუდი პროგნოზია მოსალოდნელი.

ოქროს კერატიტი ზოგჯერ ვითარდება ოქროს შემცველიპრეპარატების მიღებისას. მისი დამახასიათებელი სიპტომებია: სინათლის შიში, ცრემლდენა, ბლუფაროპიაზში, უცხო სხეულის შეგრძნება თვალში, რქოვანას გამჭვირვალობის დარღვევა. სინდრომის თავისებურებად ითვლება რქოვანას გარსის ფართო ზედაპირული დაწყლულება, რომლის გამოსავალი შეიძლება გახ-

დეს რქოვანას გარსის შემღვრევა. ამავდროულად შეიძლება განვითარდეს ოქროს კრისტალების ჩალაგება რქოვანაში. ნაცრისფერი, ცისფერი ან ალისფერი პიგმენტაცია კანის განათებულ ადგილებში (კრიზიასი).

იმუნური კომპლექსების სინდრომი პროფოცირდება სტრეპტოკინაზით (სტრეპტაზა) და გამოვლინდება მძიმე სისტემური პლაზმოციტოზით, რომელიც ვითარდება თერაპიის პირველ კვირაში. კლინიკურად მას ახასიათებს ტემპერატურის მომატება, თირკმლის ფუნქციის ტრანზიტორული მოშლა, პერიფერიულ სისხლში პლაზმური უჯრედების გაჩენა.

ინტესტიციური ფილტვის მიერის ინდრომი ვითარდება ანანრენის (სიმსივნისსაწინააღმდეგო), ლეიკერანის (ციტოსტატივი) ხანგრძლივი გამოყენების ფონზე. ახასიათებს სწრაფად პროგრესირებადი შემაერთებელი ქსოვილის განვითარება ფილტვის ინტერსტიციაში. კლინიკურად მზარდი სუნთქვითი უქმარისობა, რომელიც უპარესებს ძირითადი დაავადების მიმდინარეობას

იოდიზმის სინდრომი გამოწვეულია პრეპარატებით, რომლებიც შეიცავენ იოდს (იოდიდები, რენდგენოკონტრასტულინივითიერებები). სინდრომი კლინიკურად ვლინდება სურდოთი, ჭინჭრის ციებით, შეიძლება კვინკეს შეშუპების განვითარება, ნერწყვი სადაც რემლისდენა, აგრეთვე კანისზედაპირის დაზიანება – იოდერმა. უფრო მეტად გავრცელებული და ტიპური ფორმებია იოდის აკნე (არგანსხვავდება ვულგარულიისაგან, მაგრამ არგანიცილია შერწყმას) და კვანძოვანი ფორმა (აკნეს შერწყმის შედეგად), იშვიათად სხვადსხვავგვარი გამონაყარი (ჭინჭრის ციების, წითელი მკლურას, ერთიემის, ეგზოდერმის მსგავსად).

კონრადი-ხიუპერმანის სინდრომი – ეს არის ნაყოფის ქონდროლის პლაზია, ფეხმძიმე ქალის მიერ მთელი ორსულობის მანძილზე ტერატოგენული თვისებების მქონეანტიკოაგულანტების (გარფარინი, დიკუმარინი, ფენილინი, სინკუმარი) გამოყენებით გამოწვეული და სხვ. ამ დროს აღენიშნება ჩონჩხის ენინდრალური განვითარების ანომალია მეორადი გაძვლების ძვლების დაზიანებით. ბლასტოგენეზის პერიოდში (მე-3 – მე-4 კვირა ფეხმძიმობის) ირღვევა გაძვლების პროცესი და ძვლის ზრდა სიგრძეში

არის დარღვეული. სინდრომი ჩნდება ჩანასახოვან პერიოდში: ნაყოფების ნაწილი იღუპება, ნაწილი ნაადრევი მშობიარობის გამო არასიცოცხლისუნარიანია. დაბადებული ბავშვები კი გამოირჩევიან ნაწილობრივად, არაპროპორციული ზრდით, ცხვირის გამოხატულად პროპლაზიით, კიდურების დამოკლებით, მხედველობის ნერვის ატროფიით, მიკროცეფალით, ტვინის ჩამოყალიბების შეფერხებით.

მედიკამენტოზურიც ხელების სინდრომი. ტემპერატურის მომატება, რომელსაც თან ახლავს თავის ტკივილი, დისჰეფსიური მოვლენები, ტაქიკარდია, არტერიული წნევის ცვალებადობა, შეშუპება, სისუსტე, ძირითადი დაავადების სიმპტომების გამწვავება, შეიძლება გამოვლინდეს არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების (სულფასალაზინი), ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატების, ანტიესტროგენების, ანტიბიოტიკების, ანტიტიროიდული საშუალება ტიამაზოლის, ანემიის საწინააღმდეგო ფერუმის გამოყენების შედეგად.

ლიგნაკ - ტონიფანკონის სინდრომი. ამინომჟური დიაბეტი, რომელიც უვითარდება ზოგიერთ ავადმყოფს ტეტრაციკლინის ხანგრძლივად მიღების ფონზე. ეს არის თირკმელების მილაკების აუტოიმუნურიგენეზის პათოლოგია - პოლიურია, ამინოციდურია, გლუკოზურია, ჰიპერფოსფატურია, ჰიპერკალციურია, პოლიდიფსია, შეშუპება. ორგანიზმში მარილების დაკარგვის ხარჯზე ვითარდება ჰიპოფოსფატემია, ჰიპოკალციემია, ჰიპერურემია აციდოზითა დაპროტეინურით, დაავადების პროგრესირებასთან ერთად ხდება თირკმლის უკმარისობის განვითარება.

„ლითიუმის ბავშვები“ თანდაყოლილი პათოლოგიაა გამოწვეული ტეტრაციკლინის ეფექტების მქონე ლითიუმის პრეპარატების (ლითიუმის კარბონატი, კინტემნოლი, ლიტოსანი, მიკალტი) ფუნქციონირების მიერ ორსულობის პირველ ტრიმესტრში მიღების შედეგად. ლითიუმის პრეპარატები გამოიყენება ფსიქიატრიაში სხვა მედიკამენტების უეფექტობის შემთხვევაში, აგრეთვე თირეოტიკოსიკოსის, გრანულოციტოპენიის მკურნალობისათვის. სინდრომი ვლინდება თანდაყოლილი გულის მანკით, მსხვილი სისხლძარღვების, სხვა ორგანოების დაზიანებით, ხშირად შერწყ-

მულია.

ლეფლერის სინდრომი ფილტვების ეოზინოფილური ინფილტრაციის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ვითარდება სულფანილამიდების ზემოქმედებით, იშვიათად - აცეტილსალიცილის მუჯვით. ეს ტრანზიტოლური ინფილტრაციაა, რომელსაც თან სდევს სისხლის ეოზინოფილია. ფილტვების ეოზინოფილური ინფილტრაციის სხვა სახეა

ჩარდა-სტროსის სინდრომი (ალერგიულია გრანულომატოზი-დაანგიტი). ფილტვების მყარი ეოზინოფილური ინფილტრაცია (ქრონიკული ეოზინოფილური პლემონია), ფილტვის ეოზინოფილური ინფილტრაცია ბრონქიალური ასთმით. ყველა დასახელებული სინდრომი ალერგიული ხასიათისაა.

მედიკამენტოზური წარმოშობის ლეფლერის სინდრომი უფრო ხშირად განპირობებულია სულფანილამიდებით განხორციელებული მკურნალობის შემთხვევაში (58%-ამდე), როგორც წესი, გამოვლინდება რენდგენოლოგიური კვლევით (ინფილტრაციული ჩრდილი). პრეპარატის მოხსნის შემდეგ ინფილტრატები სწრაფად უკვალოდ აღადგება. ზოგჯერ ფილტვების ეოზინოფილური ინფილტრაციის დროს ავადმყოფი უჩივის თვით შეგრძნების გაუარესებას, ტემპერატურის მომატებას (სუბფებრილურ რიცხვებამდე), ხველას ღორწოვანი ნახველით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ფერი, მეტალის გამო, შეიცავდეს სისხლს. ინფილტრატების ზემოთ შეიძლება იმინებოდეს სველი ხიხინი, პლევრის ხახუნი, პერიფერიული სისხლის მთავარი თავისებურებაა ეოზინოფილია, რომელსაც თან სდევს ლეიკოციტოზი. როგორც წესი, რედგენოლოგიური ცვლილებები წინ უსწრებს ცვლილებებს სისხლში. ნახველში აღმოჩენილია ეოზინოფილები და შარკო-ლეიდენის კრისტალები.

მალაბსორბციის სინდრომი. სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატით სადოსტიდინით ხანგრძლივი მკურნალობის ფონზე ავადმყოფებს შეიძლება გაუჩნდეთ ანორექსია, გულისრევა, ღებინება, სპაზმური ხასიათის ტკივილიები გასტრიუმში, შებერილობის შეგრძნება, აირების დაგროვება, თხელი განაჯალი, ფაღარათი, დიდი ხნის მანძილზე ესტეატორეა - ცხიმის ჭარბი რაოდენობით გამოყოფა ფეკალურ მასებთან ერ-

თად მივიყვანს შეწოვის დარღვევასთან (მალაბსორბცია) და ამასთან დაკავშირებით კვების დარღვევასთან (სიგამხდრე, ჰიპოვიტამინოზი). რთულდება ავადმყოფის მდგომარეობა.

მიასთენიური სინდრომი შეიძლება განვითარდეს პენიცილაზინის მიღების ფონზე. იგი ასტიმულირებს ანტისეპელების პროდუქციასაც ეტიოპოლინის რეცეპტორებთან (განსაკუთრებით რეგმატოიდული ართრიტის დროს). სინდრომს ახასიათებს განივზოლიანი კუნთების სისუსტე და პათოლოგიური დაღლილობა. პირველ რიგში და უფრო მეტად ზიანდება საყლაპავის, საღებავი, საშუალო და თვალის მამოძრავებელი კუნთები. ყველაზე ხშირად ზიანდება ქუთუთოს ამწევი კუნთი, ვითარდება ფტოზი. მიასთენიური ცვლილებები ვითარდება სხეულის სხვადასხვა კუნთში, რაც კლინიკურად შეიძლება გამოვლინდეს სუნთქვის, სიარულის დარღვევით, კუნთების ჰიპოტროფიით. პენიცილაზინის მოხსნის შემდეგ ავადმყოფების 2/3 ამ სინდრომისაგან იკურნებიან.

კუნთოვანი სინდრომი შეიძლება განვითარდეს ავადმყოფებს, რომელთაც აქვთ თირკმლის ფუნქციის მოშლა და იღებენ ჰიპოლიპიდემიურ საშუალებას - კლოფებრატს ან მის ანალოგებს (კლოფობრადი, ეტოფობრადი, გალოფენატი ბეზაფობრადი). კლინიკურად სინდრომი გამოვლინდება მიაღვით, კუნთების რიგიდობით, სისუსტით, სისხლის შრატში იმატებს კრეატინფოსფოკინაზის, ტრანსამინაზის და ალბოლაზის კონცენტრაცია. ზოგჯერ კუნთოვანი სინდრომი რთულდება გულის მუშაობის მოშლით. სინდრომის განვითარების დიდი რისკი ნეფროპათიის მქონე პაციენტებში განპირობებულია ჰიპოალბუმინემიით, რაც გამოწვეულია პრეპარატის თავისუფალი ნაწილის კონცენტრაციის მომატებით სისხლში. ანალოგიური მდგომარეობა ვითარდება ჰიპოთირეოზის დროსაც.

დატვირთვის კოლაფსის სინდრომი. მიზეზი შეიძლება იყოს ჰიპოტენზიური პრეპარატის ისმევირთვის მიღება: ფიზიკური დატვირთვის დროს მოულოდნელად ეცემა არტერიული წნევა. კლინიკურად ვლინდება ძლიერის სისუსტე, კანისსაფარველიფერმერთადლება, შეიძლება განვითარდეს ცნობიერების ხანმოკლე დროით დაკარგვაც.

„უცნობილიქენის“ სინდრომი – გლუკოკორტიკოიდების მიღების ფონზე სახის კანის არანორმალური პიგმენტაცია, რაც წარმოადგენს პორმონალური პრეპარატების მიღებაზე ლოკალური რეაქციის მოდიფიკაციას. მაგალითად, სოკოვანიდაზიანების სიმპტომები არა მხოლოდ რჩება, არამედ ვრცელდება (ქავილის შემცირებით).

ავთვისებიანი ნეიროლეპტიური სინდრომი ვითარდება უეცრად ნეიროლეპტიკებით (ფლუფენაზინი, პრომეტაზინი, პერფენაზონი და სხვ.) სამკურნალო კურსის ჩატარებისას: იმატებს სხეულის ტემპერატურა, ვითარდება მოტორული მოშლილობები (აკინეზიები), ვეგეტაციური დეკომპენსაციის სიმპტომები - არტერიული წნევის მკვეთრი ვარდნა, ტაქიკარდია, ცნობიერების დაბინდვა კომატოზურ მდგომარეობამდე, ზოგჯერ ამ ფონზე ვითარდება ეპილეფიები, უნებლიე შარდვა, ფსიქიკური ფუნქციის გაუარესება.

პერიფერიული ნეიროპათიის სინდრომი ვითარდება როგორც პირდაპირი ტოქსიური მოქმედება იმ ფარმაცოლოგიური საშუალებების ქრონიკული შედარებით ან აბსოლუტური ჰიპერდოზირებისას, როგორცაა: ანტიბიოტიკები (ბეკომიცილი, ბერლიცეტილი, კოლომიცილი), ციტოსტატიკები (ვენეზილი, ვინდლასტინი, კარბოპლასტინი, ლეიკვანინი), არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები (ინდომეტაცილი, პირაბუტოლი. ქალებში ამპრეპარატზე სინდრომი ვითარდება 3-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცებში), ანტი მიკრობული და პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებები (ნიფურანტინი თირკმელების პათოლოგიის დროს, სალაზოპირინი, ფანსიდარი, ხივიდი), ალკი პულმის სამკურნალო - ესპერალი - ამ დროს ხშირად ზიანდება ფეხები. კლინიკურად სინდრომი გამოვლინდება ტკივილითა და პარესთეზიებით მტკვნელობა და ტერფებში, ვეგეტატიურ პერიფერიული დარღვევებით (ჰიპერჰიდროზი, ციანოზი, ჰიპოთერმია), კუნთოვანი ძალის დაქვეითებით, მგრძობელობის პოლინევრიტული ტიპის დარღვევებით (ჰიპოსთეზია). მკურნალობის გავრცელების ფონზე სიმპტომატიკა იმატებს აღმავალი ტიპით, ხანდახან შეიძლება იყოს მოტორული და ტროფიკული დარღვევები.

უშაქრო დიაბეტის სინდრომი შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა პრეპარატმა ეპილეფიის საწინააღმდეგო საშუალებებიდან უპირატესად იწვევს დიბენზაბენინი (კარბამაზეპინი, პრიმიდონი) და სხვ. მისი საფუძველია სისხლში ვაზოპრესინის შემცველობის შემცირება, რასაც მიყვავართ პოლიურიამდე და მეორად პოლიდიპსიამდე.

ძირითადი ჩივილია - შემაწუხებელი წყურვილი და პოლიურიამდე (მიღებული და გამოყოფილი სითხის რაოდენობა 3-12-ლ. დამეტო). ხშირად აღინიშნება ოფლის გამოყოფის შემცირება. სითხის მიღებისაგან თავის შეკავებას მიყვავართ დეჰიდრატაციამდე, რომელიც ვლინდება სისუსტით, თავის ტკივილით, ჰიპოთერმიით, სხეულის წონის დაკარგვით, დისპნოეით, შესაძლებელია ენდოკრინული ავეგეტაციური მოშლილობების განვითარება.

შექცევადი დემენციის სინდრომი აღწერილია ერგოტამინით ქრონიკული მოწამვლის დროს (პრეპარატი სპორინი, რომელიც გამოიყენება შაკიკის მკურნალობისათვის): ახსიათებს პიროვნების თანდათანობით ცვლილებას, მისი გადარბევა, თვალსაწიერის არეალის შევიწროება, ინდივიდუალური თვისებების ცვლილება, ეგოცენტრიზმის ზრდა. ვითარდება ფსიქოპათოზის მსგავსი მდგომარეობა ჰეუსუსტობით. ახსიათებს ძილის დარღვევას. მეტყველების გადარბევა. პრეპარატის მოხსნის შემდეგ სინდრომი უკუშექცევადია.

პოლაგრის სინდრომი ვითარდება თიაზიდური დიურეტიკების ხშირი მიღების ფონზე. (ფუროსემიდი, თიაზიდები), როცა მცირდება ექსკრეცია და იმატებს სისხლში შარდმუჟავას კონცენტრაცია. შემდგომში შარდმუჟავას მარილები (შარდმუჟავა ნატრიუმი) განილეკებიან სახსრების აბკებში, ხრტილებში, მყესების ბუდეებში, იშვიათად კანზე, კუნთებზე, თირკმელებში. სინდრომის განვითარება სხეულს უწყობს ჭარბი კვება (განსაკუთრებით ცილებით) ალკოჰოლი, ცხოვრების მჯდომარე წესი, კლინიკურად სინდრომი ვლინდება არტრიტის განმეორებითი შეტევებით (პოლიართრიტი), რომელსაც თან ახლავს ძლიერი ტკივილები.

პროტროლოლის სინდრომი პროტროლოლი (ბლოკატორი) იწვევს სპეციფიური ანტისხეულე-

ბის წარმოქმნას, თრგუნავს ლიზოციმის სეკრეციას. ხელს უწყობს იმუნური კომპლექსების წარმოქმნას, პროცესში ერთდება კანი, თვალები და პერიტონიუმი. ზოგიერთი ნიშანი ამ სინდრომიდან (თვალის ან კანის ფსორიაზული დაზიანება, იშვიათად მასკულეროზებელი პერიტონიტი) შეიძლება განვითარდეს როგორც გვერდითი მოქმედება სხვა ბლოკატორების (პროპრანოლოლი, ოკსი პრენალოლი, ტიმოლოლი) და სხვ. გამოყენების დროს. ამ სინდრომის სიმპტომატიკაში ზოგჯერ შედის ფილტვების ვიბროზი რომელსაც მიყვავართ სუნთქვით უკმარისობამდე (ფიბროზი შეიძლება ჩამოყალიბდეს მკურნალობიდან რამდენიმე თვის შემდეგ) აგრეთვე სიყრუე, ბილიარული ციროზი, პირონის დაავადება და დიუპიკიტრენის კონტრაქტურა. აგრეთვე შეიძლება განვითარდეს კერატოპათიები, კონიუქტივიტები, კანზე ჩნდება გამონაყარი, ჭინჭრის ციება, ლიქენის მსგავსი ცვლილებები, ვასკულიტები, ფსორიაზი.

ფსევდო მემბრანული კოლიტი სინდრომი დამახასიათებელია ანტიბაქტერიული მკურნალობისათვის. ყველაზე ხშირად იგი ვითარდება პენიცილინის, ცეფალოსპორინების, ჯოზამიცინის, ბანოცილის, ბინაცის, ლინკომიცინის, კლინდამიცინის (კლინდამიცინის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს მკურნალობიდან 2-3 კვირის შემდეგ) კონტრამაკსაზოლის, ტინამის გამოყენების დროს. კოლიტის გაჩენას განაპირობებს ნაწლავის გამაველობის შეფერხება. ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითება. როგორც წესი ზიანდება მსხვილი ნაწლავი. ითვლება რომ სინდრომის საფუძველია დიზბაქტერიოზი - კლოსტრიდიებით ინფიცირება. დაავადება ვითარდება მწვავედ და ახსიათებს შეტვეითი, სპასტიკური ტკივილები მუცელში, დიარეა, ხშირად აღინიშნება მადის დაქვეითება, გულისრევა, ღებინება, ირღვევა ავადმყოფის საერთო მდგომარეობა - გამოკვეთილია საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება. რაც განპირობებულია ორგანიზმის ინტოქსიკაციით.

ფსევდო ინფექციური მონონუკლეოზის სინდრომი შეიძლება განვითარდეს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატის პასკის ხანგრძლივი მიღე-

ბის ფონზე, მაგრამ იშვიათია. მისი გენეზი ალერგიულია. ახასიათებს ზოგადი ინტოქსიკაციის სიმპტომები, შემცივნება, ლიმფური ქსოვილის ჰიპერპლაზია, ღვიძლის დაზიანება, ანგინა, ცვლილებები სისხლში - ლიმფოციტოზი, ლეიკოციტოზი, პერიფერიულ სისხლში მონონუკლეარების - ბაზოფილური მარცვლოვანებით პროტოპლაზმაში და ბირთვის ექსცენტრიული მდებარეობით (რეტაკულური პლაზმოციტები) ხანდახან შეიძლება იყოს გამონაყარი, გართულება მიოკარდიტის, ნეფრიტის, ენცეფალიტის სახით.

ლუდვიგის ფსევდოფენომენის სინდრომი შეიძლება განვითარდეს პეროლარული ანტიკოაგულანტების დანიშნვის დროს. ეს არის ასფიქსია, რომელსაც იწვევს ცხვირ-ხახის არედანსისხლდენით გამოწვეული ზედა სასუნთქი გზების გამავლობის დარღვევა.

ფენის მეწამული თითების სინდრომი გამოწვეულია კუმარინის ჯგუფის ანტიკოაგულანტის ვარფარინის მოქმედებით. ეს მწვავე დაავადება ვითარდება კიდურების სისხლძარღვების ემბოლიის შედეგად. (არტერიული პერემია) სწრაფი უკუგანვითარებით პერორარული ანტიკოაგულანტების შეწყვეტის შემდეგ.

რეინოს მსგავსი სინდრომი ბრომკრიპტინის (სპორინის ნაწარმები) ხანგრძლივი მიღების შედეგად განვითარებული პერიფერიული ულიარტერიოლების სპაზმი. შეიძლება გამოწვეული იყოს ნიტრატების (ნიტროგლიცერინის ჯგუფი), კლოდიფინის მიღებით. პროვოცირდება სიცხით. აღნიშნული პრეპარატის მაღალი დოზით დანიშვნის დროს აღნიშნული სინდრომი უვითარდებათ ავადმყოფების 30%-ს. აღნიშნება ტკივილი და პარესთეზიები კიდურების დისტალურ ნაწილებში. „მკვდარი თითების“ სიმპტომი, დისტროფიული ცვლილებები (განგრუნოზული) კიდურებზე, სინდრომი შეიძლება გამოწვეული იყოს სერგოტამინის (მაკიკის სამკურნალო პრეპარატი) მიღებითაც.

რეისინდრომი ენცეფალოპათია - შინაგანი ორგანოების ცხიმოვანი დეგენერაციით. აღწერილია კუმარინის ჯგუფის ანტიკოაგულანტების გამოყენების დროს ჰიპერდოზირებისას. იწყება მძლავრი ტემპერატურით (ჰიპერპირექსიამდე), ღებინებით (ხანდახან

სისხლიანი), კლონური კრუნჩხვებით, კიდურების კუნთოვანი ტონუსის დარღვევით. ხანდახან შეიძლება იყოს გამონაყარი კანზე, ჰეპატომეგალია. სისხლში ლეიკოციტოზი, ჰიპოგლიკემია (მათ შორის თავზურგტვინის სითხეშიც) მეტაბოლური აციდოზი, ჰიპერნატრიემია. სინდრომის გამოხავალი არის ლეტალური. მისი განვითარებიდან რამდენიმე დღეში. **ბავშვებში სინდრომი აღწერილია ამიღოპირინზეც.**

ვარდისფერი დაავადება უვითარდებათ ბავშვებს ვერცხლისწყლის ნაერთების შეზღუდვა (ფენაცეტატი, ფენილნიტრატი - ვერცხლისწყლის, ნიტრომერსოლი, ტიმერსილი, მერბრომინი, მერკურობეტოლი) ზოგიერთი მათგანი გამოიყენება როგორც კონსერვანტი თვალის წვეთებში, მაღამოვებში, ვაქცინებში, საინექციო სითხეებში. ინიშნება კანის ღებინებების საფრთხიდან, ინფექციური დაზიანებების სამკურნალოდ (კანის, პირის, საშოს) დაავადება ხშირად გვხვდებოდა ჭიპის თიაქრის მერბრომინით დამუშავების დროს. სინდრომი ჩნდება ერთორღერმით, შარდის ვარდისფერი შეფერვით, ანურით.

სისტემური წითელი მგლურას სინდრომი შეიძლება განვითარდეს როგორც გვერდითი მოვლენა ბევრი სამკურნალო წამლის საშუალების გამოყენების დროს. მაგ. კრუნჩხვის საწინააღმდეგო (-პრიმიდონი, ტრიმეტალონი), პერორალური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების, **β**-ადრენობლოკატორების, ოქროსპრეპარატების, ტეტრაციკლინების, სულფანილამიდების, ჰიპოლიპიდემიურის საშუალებების (კლოფბრატეტი), იზონიაზიდის, ნოვოკაინამიდის, გუანეტინინის, ანტითირეოიდული პრეპარატების (თიამიზოლი), **ფლუკონარი** გამოყენების დროს. ამ სინდრომის თავისებურებაა (დაავადებისაგან განსხვავებით) ფილტვების უფრო ხშირი და ზიანება, ვიდრე თირკმელების. სინდრომს საფუძვლად უდევს სისხლძარღვებისა და შემავრთებელი ქსოვილის გენერალიზებული დაზიანება, რომელსაც აქვს აუტოიმუნური ხასიათი გამოხატული ბირთვული პათოლოგიით.

დამახასიათებელია: სახსრის სინდრომი, კანის დაზიანება, პოლისეროზიტი (კლასიკური ტიპისაა), პროცესში ასევე ერთვება შინაგანი ორგანოები (ფილტვები,

გული, თირკმელები) ნერვული სისტემა.

სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი პროვოცირდება სათითურას პრეპარატების მიღებით. ვითარდება თანდათან (ვენაში შეყვანის შემდეგ, ზოგჯერ მაშინვე), თავიდან ჩნდება ექსტრასისტოლები ბიგემინიის სახით, შემდეგ ვითარდება ბლოკადა პარკუჭების შეკუმშვების შემცირებით 30-40-მდე. ძალიან მძიმე შემთხვევებში პარკუჭების თრომლოვა და სიკვდილი. ელექტროკარდიოგრაფიაზე ტიპური ცვლილებები: S-T segmentis dadableba, ორფაზიანი და უარყოფითი კბილი, პარკუჭოვანი ექსტრასისტოლები.

კანის დაბერების სინდრომი ვითარდება ჰორმონის შემცველი მაღამოვის ხანგრძლივი გამოყენების შედეგად (სიკოტრენპლუსი, სინალარი, ფტოროკორტი), არსტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალება (ტრიდერმი) ფონზე. კლინიკურად ვლინდება კანის ატროფიით, სტრეების გაჩენით, ტელიანგიოექტაზიებით, პიგმენტაციის დარღვევით. იშვიათად შეიძლება განვითარდეს კარცინომები, კატარაქტა.

სასტარტო შეკავების სინდრომი უვითარდებათ ლეგოლოპას ხანგრძლივი მიღების ფონზე. გამოვლინდება სიარულის უუნარობის შეგრძნებით, კანკალით ფეხებში, ავადმყოფის წინდაცემით.

სტივენს ჯონსის სინდრომი კანის რეაქცია რომელიც ზოგჯერ ვითარდება აცეტისალიცილის მუხავის პრეპარატებით მკურნალობის ფონზე. ნატრიუმის სალიცილატის, ანტიმიკრობული საშუალებების (სალაზოპრინი, პირამიდი, ფანსიმეფი, კოტრიმოქსაზოლი) გამოყენებისას. ეს არის პოლიმორფული რითმის მძიმე ფორმა (ერთი მატოვები კულობოლოზური). რომელსაც თან სდევს შემცივნება, ცხელება (40%) ანგინა, კუჭნაწლავის ტრაქტის მოშლილობები, ტკივილები კუნთებსა და სახსრებში, ღვიძლისა და ელენთის გადიდება, ალბომინურია, ლეიკოციტოზი, ეოზინოფილია.

„მშრალი თვლების“ სინდრომი - არასელექტიური ბეტა-ადრენობლოკატორებით მკურნალობის იშვიათი გართულება. (უფრო ხშირად კორგარდით) მცირდება ცრემლის გამოყოფა, რასაც თან ახლავს უსიამოვნო შეგრძნება თვლებში, სინდრომის ხანგრძლივობის არსებობამ შეიძლება მიგვიყვანოს ინფექციური ანთებითი

გართულებების წარმოშობამდე დამხედველობის დაქვეითებამდე.

მოსწრობის სინდრომი უფროსად აღებულია აკრულებად შეგების სანტიბიოტიკ კლინიკის დანიშნული შინდროსი, რომელიც შეიცავს ბენზოილის სპირტი აგრეთვე შედის კლონიკის (ანალგეტიკი) ხსნად კონსერვატში, ანტიანემიურ პრეპარატ - ფერლექტიში.

ფენოტანი R-Ttricikluriantidepressantebis (ამინოტრიპტილი, იმიპრამინი) მიღების ფონზე განვითარებული უცარი სიკვდილი. გულის განჩერების გამო, უვითარდებათ ავადმყოფებს 70 წლის ზევით პრეპარატის კარდიოტოქსიური მოქმედების ფონზე.

ციკლოპროპანული შოკი უფითარდება ზოგიერთ ავადმყოფს ციკლოპროპანის მიღების უცარი შეწყვეტის დროს ანესთეზიის დამთავრებისას. კლინიკურად ვლინდება არტერიული წნევის დაქვეითებით. რის შედეგადაც ირღვევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების სისხლით მომარაგება. სისხლძარღვოვანი რეაქცია (მათი გაფართოვება) სავარაუდოდ დაკავშირებულია ნახშირორჟანგის კონცენტრაციის სწრაფ შემცირებასთან სისხლში. აკრინინიზმის სინდრომი გვხვ-

დება ქინინის ხანგრძლივი მიღების ფონზე. მსუბუქი გამოვლინებაა - თავის ტკივილი, თავბრუს ხვევა, შუილი ყურებში, მხედველობის უმნიშვნელო დარღვევა, ღებინება, ტკივილი მუცელში, თხელი განავალი. აკრინინის დოზის გადაჭარბების დროს შეიძლება აღმოცენდეს „აკრინინული თრობის“ მდგომარეობა ან „აკრინინული ფსიქოზი“ მკვეთრი ფსიქომოტორული აგზნება პალუცინაციებით და სრული დეზორიენტაციით, კლონურ-ტონური კრუნჩხვებით. აღინიშნება კანისა და სკლერების ყვითელი შეფერილობა.

შონლაინჰენის სინდრომი აღწერილია ავადმყოფებში, რომლებიც იყენებენ თიაზიდურ დიურეტიკს - ქლორთიაზიდს, ტეტრაციკლინებს. ესარის ჰემორაგიული ვასკულიტი (სინონიმი - ჰემორაგიული კაპილარული ტოქსიკოზი, თრომბოციტოპენიური პურპურა). ახასიათებს სისხლძარღვოვანი სისტემის დაზიანება კანის პათოლოგიით, შინაგანი ორგანოების დაზიანებით. სისხლძარღვთა კედლის გამტარობის დაზიანებით სისხლის მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე. მიმდინარეობის თავისებურების მიხედვით განარჩევენ მარტივ რემატოიდულ და აბდომინურ პურპურას.

იარიშპერცჰეიმერის სინდრომი ეს არის მეორადი რეაქცია პენიცილინის დანიშნაზე. ვითარდება

2-12-სთ-ის შემდეგ პრეპარატის პირველი დოზის შეყვანიდან სიფილისის მკურნალობისას. შეიძლება გამოწვეული იქნას ქლორამფენიკოლით მუცლის ტიფის მკურნალობის დროს. გამოვლინდება სხეულის ტემპერატურის მომატებით, შემცივნებით, ხშირად დაავადების ყველა სიმპტომის გაუარესებით. შემცივნება იშვიათად გრძელდება 2-8-სთ, ხანდახან ვითარდება გრიპის მსგავსი სიმპტომები (თავის ტკივილი, ტკივილი სახსრებში) შეიძლება განიცდეს სიყვითლე აგრეთვე აორტის რკალის უეცარი გაფართოება ან ევრიზმის ჩამოყალიბებით. აღინიშნება კორონარული უკმარისობის სინდრომები, კრუნჩხვები, მხედველობის მწვავე გაუარესება, მხედველობის ნერვის ნევრიტის ჩამოყალიბებით. კანის რეაქციების გამოწვევა. იარიშპერცჰეიმერის რეაქციას თან ახლავს ენდოტოქსემია.

ამრიგად, მედიკამენტოზური თერაპიის გვერდითი ეფექტების გათვალისწინება და აღრიცხვა - პათოლოგიური სინდრომების პროგნოზირება, გვეხმარება სამკურნალო პრეპარატების გამოყენება იყოს უსაფრთხო და ეფექტური, გაუმჯობესდეს მოსახლეობის მკურნალობის ხარისხი და ხარჯეფექტურობა, შესაბამისად ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაჩვენებლები.

რეზიუმე

წამლის მიერ იპათოლოგიური სინდრომები

მედიცინის დოქტორი რ. ჯაში

კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის ხელშეწყობის კავშირი „უპირველესია, არ ავნო“, ევრომეცნიერების საქართველოს სექციის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი

ამრიგად, მედიკამენტოზური თერაპიის გვერდითი ეფექტების გათვალისწინება და აღრიცხვა - პათოლოგიური სინდრომების პროგნოზირება, გვეხმარება სამკურნალო პრეპარატების გამოყენება იყოს უსაფრთხო და ეფექტური, გაუმჯობესდეს მოსახლეობის მკურნალობის ხარისხი და ხარჯეფექტურობა, შესაბამისად ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაჩვენებლები.

შრომაში აღწერილია : მედიკამენტოზური თერაპიის გვერდითი ეფექტების გათვალისწინება და აღრიცხვა - პათოლოგიური სინდრომების პროგნოზირება, რომ სამკურნალო პრეპარატების გამოყენება იყოს უსაფრთხო და ეფექტური, გაუმჯობესდეს მოსახლეობის მკურნალობის ხარისხი და ხარჯეფექტურობა, შესაბამისად ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაჩვენებლები.

SUMMARY

PATHOLOGIC SYNDROMES CAUSE BY MEDICINE

Association of Clinic Pharmacology and Rational Parmacological Assisstance – “First, Do No Harm” Pharmacologic Section of Euroscience Georgian National Section

Considering and registering the side-effects of drugs, prognosing pathologic syndromes, helps us to use medications safely and effectively, it also helps us to improve the level of treating citizens and their economical situation, thus, resulting in available healthcare for everyone and improving healthcares criterias.



ქალბატონი მანანას ღირსეული 60 წელი

დავითაძე 1952 წლის 5 აპრილს ქ. დარეჯანში (მაშინ - აფხაზეთი) დაიბადა. უკრაინაში ცნობილი მხატვრული გახლდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ხადაც 1968 წელს ოქროს მედალით დაჯილდოვდა 35-ე საშუალო სკოლაში, 1974 წელს კი ასევე წარინიშნა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სწავლა გაეგრძელა თსუ-ს კლინიკურ ორდინატურაში ფსიქიატრიის კათედრაზე, ხადაც დაფინანსდა ფსიქიკური დაავადებების მექანიკური ანალიზით. ორდინატურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროში და პარალელურად დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოლოგიის, პათოლოგიისა და გენეტიკის კათედრაზე. ვარ მედიცინის აკად. დოქტორი და 2 წინასწარ დოქტორი, ერთ-ერთი 2 წლის წინ გამოქვეყნებული "სამედიცინო გენეტიკა" ექიმებისა და ექთნებისათვის. გაეფორმა მკვლევარული ტრეკინგები/დახვეწებების კურსები თბილისში და მოსკოვში I სამედიცინო ინსტიტუტში. ამავე დროს თსუ-ს მრავალწლიანი სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში. სულ გამოქვეყნებული მკვლევარული სამუშაოები 15-ზე მეტი. ჩემი მეუღლე - ვიქტორ მარაშკინი გახლდათ ცნობილი ექიმი პედიატრი-გენეტიკოსი, რომელმაც ქართულ მედიცინაში ორი ახალი მიმართულება და-

აფუძნა - სამედიცინო გენეტიკა და სოციალური პედიატრია. ჩემი შვილები: ნინო - ექიმი, ანა - მკვლევარი მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ოფისში, კურირებს ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორებს. სოფი - ხადაც მუშაობს ურთიერთობების სპეციალისტად, მუშაობს გენეტიკის კათედრაში (UNICEF), ბავშვთა დაცვის და კვების დეპარტამენტში. 2008-2012 წწ. გახლდათ UNICEF-ის უფროსი და ჩაიბარა ქვეყნების თანამშრომელთა ომბუდსმენი. დამთავრებული აქვს აშშ-ის კორნელის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

60 წელზე მეტი მისაბაძი საეჭირო მოღვაწეობით

(რედაქცია უსურვებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას)

მოგიაშვილი მარბარბა ბაბუაძის ასული, მედიცინის დოქტორი,

სპეციალიზაცია - ანესთეზიოლოგია (სახ. სერტიფიკატი №012854)

სპეციალიზაცია - კრიტიკული მედიცინა, ინტენსიური თერაპია (სახ. სერტიფიკატი № 084629), ასევე ქირურგია | კატეტორია

2007-2010 - გალაფევილი მედიცინის ცენტრის ანესთეზიოლოგიის დეპარტამენტის ექიმი - ანესთეზიოლოგი;

1973 - 2006.09 - კონსერვითი თსუ ანესთეზიოლოგიის და კრიტიკული მედიცინის კათედრის ასისტენტი (კათედრის დირექტორის დედა);

1958 - 2006 - რეკას ექიმი - ქირურგი, 1962 წლიდან - ანესთეზიოლოგი-რეანიმატოლოგი;

1954 - 1958 წწ. - კონსერვითი თსუ პოსპიტალური ქირურგიის კათედრის კლინიკური ორდინატორი;

1953.12 - 1954.09 - საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი;

1952 - 1954 - თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიული კლინიკის ექიმი - ორდინატორი;

1951 - 1952 - თურჯოლის რაიონის საავადმყოფოს ექიმი - ქირურგი;

1945 - 1951 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი;

საეჭირო მოღვაწეობის სხვადასხვა წლებში მუშაობდა:

- ბ. პროფესორის სახ. ქირურგიის საკავშირო ცენტრი
- ა. ვინსენსის სახ. ქირურგიის ინსტიტუტი
- ა. ბაკულავის სახ. გულ-სისხლძარღვო ქირურგიის ცენტრი, ხადაც შეხრულდა საკვალიფიკაციო შრომა

• სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის ინსტიტუტი, ქ. ბრატისლავა
1970.16.06 - დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდი-



1974 წ. ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის კათედრის ასისტენტები მარგო გოგიაშვილი და ნათელა ქეჭაძე



1975 წ. რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გურუანის ფაჩტა. ანესთეზიოლოგიის კათედრისა და საპრობლემატიკური შიშვარდის, დოცენტები: ს. ლახარაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ნ. ქეჭაძე, შ. გოგიაშვილი, ზ. ხედაძე

ხალხ-დემოკრატიული რესპუბლიკა, ქ. მოსკოვში, ცენტრალური პოსპიტალის ანესთეზიოლოგია - რეანიმატოლოგიის სამსახურის უფროსი;

1962 წლიდან - სხვადასხვა დროს საერთაშორისო, საქავეშირო და რესპუბლიკური კონფერენციების მონაწილე ანესთეზიოლოგია - რეანიმატოლოგიის დარგში, როგორც მომხსენებელი, ორგანიზატორი წევრი, სარედაქციო კომიტეტის წევრი;

ანესთეზიოლოგია - რეანიმატოლოგიის საკავშირო და რესპუბლიკური სახ-

მეცნიერო-პრაქტიკული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, გამგეობის წევრი 2006 წლამდე

116 სამეცნიერო ნაშრომი - ძირითადი თემატიკა: ფილტვის ხელშეწყობის ტექნიკა და მისი გაზრდილობა; გადაუდებელი ანესთეზიოლოგია; ანესთეზიოლოგია გერიატრიაში;

სედაციის პრობლემა ანესთეზიოლოგიაში (სედუქსენი, კეტანოლი, პროპოფოლი, დორმიკუმი);

თანამედროვე სახელმძღვანელო "რეანიმაცია - ანესთეზიოლოგია", HI ნაწ., ქართულ ენაზე თბილისი, 1985 წ. (რედ. შ. შაჭავაძისთან), თავები - ზოგადი ანესთეზია ნეიროქირურგიაში, უროლოგიაში, ოტორინოლოგიაში;

1973 წლიდან - თსუ კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე ყოფილას მომზადებულია 60-ზე მეტი ინტერნი, 7 რეზიდენტი, რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი, პროფესორი ნათელა ქეჭაძისთან, სახ. გალაფევილი მედიცინის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები (კ. ბუცურიაძე, დ. ვაშაძე, დ. სუხიაშვილი, მ. ბერაშვილი, გ. კალიანი, დ. ფორცხადავა და სხვ) და პრაქტიკულად მთელი ანესთეზიოლოგიური სამსახური;

მუშაობდა - გეოგრაფიული კვლევის (კონსტანტინე მ. გარდაიკვალი 1993 წ.)

შვილები: გეოგრაფიული კვლევის მონაწილე მარგო მარბარბაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

შვილები: გეოგრაფიული კვლევის მონაწილე ნინო მარბარბაშვილი მედიცინის დოქტორი;

ჯილდოები: გ. მუხაძის სახელმძღვანელო საპატრიოტო მედალი (1974 წ.)

• ანგლო-სახ. ჯილდო - აგოსტინო ნეტოს მედალი (1980 წ.)

ანგლო-სახ. საბჭოთა კავშირის საელჩოს საბატონო სოფელი (1980 წ.) (სტალინის მემორიალური პრემია) და სხვადასხვა ჯილდოები და პრემიები.



აკად. კერისთავის იუბილე, ქირურგიის ინსტიტუტი. დოც. პეტრე ჩუბინიძე, პროფ. თინა სირია, დოც. ეთერი ბაკურაძე, თამარ ლომიძე, მარგო გოგიაშვილი.



1979 წ. ანგლოს სახელმძღვანელო რესპუბლიკა, ქმოსამედიცინის პოსპიტალის კოდექტივი.



1973 წლიდან - თსუ კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე ყოფილას მომზადებულია 60-ზე მეტი ინტერნი, 7 რეზიდენტი, რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი, პროფესორი ნათელა ქეჭაძისთან, სახ. გალაფევილი მედიცინის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები (კ. ბუცურიაძე, დ. ვაშაძე, დ. სუხიაშვილი, მ. ბერაშვილი, გ. კალიანი, დ. ფორცხადავა და სხვ) და პრაქტიკულად მთელი ანესთეზიოლოგიური სამსახური;

მუშაობდა - გეოგრაფიული კვლევის (კონსტანტინე მ. გარდაიკვალი 1993 წ.)

შვილები: გეოგრაფიული კვლევის მონაწილე მარგო მარბარბაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

შვილები: გეოგრაფიული კვლევის მონაწილე ნინო მარბარბაშვილი მედიცინის დოქტორი;

ჯილდოები: გ. მუხაძის სახელმძღვანელო საპატრიოტო მედალი (1974 წ.)

• ანგლო-სახ. ჯილდო - აგოსტინო ნეტოს მედალი (1980 წ.)

ანგლო-სახ. საბჭოთა კავშირის საელჩოს საბატონო სოფელი (1980 წ.) (სტალინის მემორიალური პრემია) და სხვადასხვა ჯილდოები და პრემიები.



რკინადეფიციტური ანემიის ეროვნული გაილანი

ა. კვზერელი-ძოკაძე, მ. კვზერელი-ძოკაძე, ზ. მთვარელიძე
შპს „ბავშვთა ახალი კლინიკა“, თსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა

რკინადეფიციტური ანემია (რდა) არის პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია ორგანიზმში რკინის რაოდენობის შემცირებით, ჰემოგლობინის სინთეზისა და მისი საშუალო კონცენტრაციის დაქვეითებით თითოეულ ერითროციტში.

ეპიდემიოლოგია. ყველა სხვა ანემიებს შორის რდა ხვედრითი წილი შეადგენს 70-80%-ს. საქართველოში (XXI საუკუნის I დეკადაში) რკინადეფიციტური ანემია ბავშვებში გვხვდებოდა 21,4%-ში, ხოლო რკინის ლატენტური დეფიციტი – 13,4%-ში. აღნიშნული ტიპის ანემიები 6 თვემდე ასაკის ბავშვებში დაფიქსირებულია 57%-ში, ხოლო 6-12 თვის ასაკობრივ ჯგუფში – 71%-ში.

ეტიოლოგია. რკინადეფიციტური ანემიის ძირითადი მიზეზებია:

ანტენატალური: პლაცენტარულ-საშვილოსნოს სისხლის მიმოქცევის მოშლა, პლაცენტარული უქმარისობა, ფეტო-პლაცენტარული და ფეტო-დედისეული სისხლის დენა, მრავალნაყოფიანი ორსულობის ფეტალური ტრანსფუზიის სინდრომი, დენაკლულობა, მრავალნაყოფიანობა, დედის ორგანიზმში რკინის ხანგრძლივი და ღრმა დეფიციტი.

ინტრანატალური: ფეტო-პლაცენტარული ტრანსფუზია, დროზე ადრე ან მოგვიანებით ჭიპლარის გადაკვანძვა, ანომალური პლაცენტა, ინტრანატალური სისხლის დენა მეანის მიერ ტრავმის მიყენების შედეგად.

პოსტნატალური: საკვები პროდუქტებით რკინის მიწოდების ნაკლებობა – ხელოვნურ კვებაზე ბავშვის ადრეული გადაყვანა, არაადაპტირებული რძის ნარევების გამოყენება, ძროხისა და თხის რძის გამოყენება, ვეგეტარიანული და ფქვილეული საკვების გამოყენება, არაბალანსირებული დიეტა ღარიბი ცხოველური პროდუქტებით, რკინის მაღალი მოთხოვნა ბავშვის ორგანიზმის სწრაფი ტემპით ზრდის გამო (დენაკლულობა და მრავალნაყოფიანი ორსულობიდან დაბადებული ბავშვები, სხეულის დიდი მასით დაბადებულნი, პუბერტული და პრეპუბერტული პერიოდის მოზარდები), რკინის სწრაფი დაკარგვა ორგანიზმიდან სხვადასხვა ეტიოლოგიის სისხლის დენის დროს, ნაწლავებიდან საკვების შეწოვის დარღვევა; ასევე ხანგრძლივი და უხვი სისხლის დენა გოგონებში მენსტრუალური ციკლის დაწყებისას; რკინის ტრანსპორტის დარღვევა ორგანიზმში ტრანსფერინის დეფიციტთან დაკავშირებით.

რკინადეფიციტური მდგომარეობის სტადიები:

- ✓ რკინის პრელატენტური დეფიციტი;
- ✓ რკინის ლატენტური დეფიციტი;
- ✓ რკინადეფიციტური ანემია.

რკინადეფიციტური ანემიის კლინიკური სიმპტომები

ანემიური სინდრომი

- ✓ კანისა და ლორწოვანი გარსების სიფერ-მკრთალე;
- ✓ მადის დაქვეითება;
- ✓ ფიზიკური და გონებრივი დაძაბულობის მომატება;
- ✓ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევები (თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, გულის ტონების მოყრუება და სისტოლური შუილი).

სიდეროპენიური სინდრომი:

- ✓ კანის დისტროფიული ცვლილებები (კანის სიმშრალე);
- ✓ ფრჩხილების მტვრებადობა;
- ✓ თმის ცვენა (მტვრევადობა, გათხელება);
- ✓ ცხვირის, საყლაპავის და კუჭის ლორწოვანის ატროფია;
- ✓ დისპეფსიური მოვლენები;
- ✓ ნაწლავებიდან საკვების შეწოვის დარღვევა;
- ✓ ყნოსვის და გემოვნების გაუკუღმართება;
- ✓ კუნთების ტკივილი და მისი ტონუსის დაქვეითება;
- ✓ კბილების კარიესი, ემალის დეფექტი;
- ✓ სუბფერულიტეტი.

რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოსტიკის ლაბორატორიული კრიტერიუმები:

1. ჰემოგლობინი <115 გ/ლ;
 2. ერითროციტები <3,5x10¹²/ლ;
 3. ჰემატოკრიტი <33-34%;
 4. რეტიკულოციტები – ან ;
 5. ერითროციტების მორფოლოგია: მიკროციტოზი, პოიკილოციტოზი, ანიზოციტოზი;
 6. ფერადობის მაჩვენებელი <0,8;
 7. ერითროციტებში ჰემოგლობინის საშუალო შემცველობა (MCH) > 27 პგ/ერ;
 8. ერითროციტებში ჰემოგლობინის საშუალო კონცენტრაცია (MCHC) < 32 გ%;
 9. ერითროციტების საშუალო მოცულობა (MCV) < 75 მკმ³;
 10. სისხლის შრატით რკინის საერთო შებოჭვის უნარი > 58,0 მკმოლ/ლ;
 11. შრატის რკინა < 12 მკმოლ/ლ;
 12. ტრანსფერინის გაჯერების კოეფიციენტი < 25%;
 13. ფერიტინი (განსახდვრა რადიოიმუნური მეთოდით) < 30 მკმოლ/ლ.
- ჰემოგლობინისა და ფერიტინის ტესტები ყველაზე ინფორმაციულია რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოსტიკაში.

რკინადეფიციტური ანემიის სიმძიმის შეფასება
Hb – 110-90 გ/ლ - მსუბუქი ფორმა; Hb – 90-70 გ/ლ - საშუალო სიმძიმე; Hb < 70 გ/ლ - მძიმე ფორმა.

დიფერენციალური დიაგნოზი

ყველა ჰიპოქრომული ანემია არ არის რკინის დეფიციტით გამოწვეული. საჭიროა დიფერენციალური დიაგნოზი გატარდეს:

- ✓ რკინის გადანაწილებით ანემიებთან (რკინის რეუტილიზაციის დარღვევით გამოწვეული ანემიები ქრონიკული ანთებით დაავადებებს, ინფექციების, ონკოლოგიური და სხვა პათოლოგიის დროს);
- ✓ რკინის გაჯერების დარღვევით გამოწვეულ ანემიებთან (სიდეროაქრესტიული თანდაყოლილი და შეძენილი);
- ✓ ჰემის სინთეზის დარღვევით გამოწვეულ ანემიებთან (თალასემია და სხვა ჰემოგლობინოპათიები);
- ✓ სიდერობლასტურ ანემიებთან;
- ✓ ჰემორაგიული სინდრომით გამოწვეულ ანემიებთან;
- ✓ პირიდოქსინ-დეფიციტურ ანემიასთან;
- ✓ ჰიპო-ატრანსფერინემიით გამოწვეულ ანემიასთან;
- ✓ ტყვიით მოწამვლით გამოწვეულ ანემიასთან.

რკინის დეფიციტი და იმუნური სისტემა

სიდეროპენიის შედეგად აღინიშნება ორგანიზმის დაცვითი მექანიზმების და, მათ შორის, იმუნური სისტემის ფუნქციის მოშლა, რის შედეგადაც იზრდება ავადობის სიხშირე და ხდება ქრონიკული პროცესების გააქტივება. რკინადეფიციტური ანემია არ ითვლება ვაქცინაციის წინააღმდეგ ჩვენებად. აცრა შეიძლება ჩატარდეს ჰემოგლობინის ნორმალიზაციის შემდეგ, თუმცა ჰემოგლობინის ზომიერი დაქვეითება (მსუბუქი ფორმა) და ანტიანემიური მკურნალობა არ ითვლება ვაქცინაციის გადადების საფუძვლად.

რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობა

რდა მკურნალობის ძირითადი მიზანია რკინის დეფიციტის აღმოფხვრა და მისი მარაგის შევსება ორგანიზმში. გასათვალისწინებელია, რომ:

1. რკინის დეფიციტის შევსება ორგანიზმში რკინის პრეპარატების გარეშე ნაკლებად ეფექტურია;
2. რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობა კომპლექსურია და შედგება 3 ეტაპისგან:
 - ✓ ანემიის კუპირება;
 - ✓ გაჯერების თერაპია (ორგანიზმში რკინის მარაგის აღდგენა);
 - ✓ რეციდივის საწინააღმდეგო მკურნალობა.

რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობის ძირითადი პრინციპები

1. რდა პათოგენეზური თერაპია გულისხმობს რკინის პრეპარატების გამოყენებას, მათ შორის უპირატესობა ენიჭება ორვალენტური რკინის შემცველ პრეპარატებს.
2. რკინის პრეპარატები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ორალური (ენტერალური) და პარენტერალური. უპირატესობა ენიჭება პირველს.

3. ადრეული ასაკის ბავშვებისთვის გასათვალისწინებელია პრეპარატის ტოქსიურობა და გამოშვების ფორმა. უპირატესობა ენიჭება თხიერ პრეპარატებს (სიროფი, წვეთები, რომლებიც ნაკლებად აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს).

4. რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობა, შემთხვევათა უმრავლესობაში, შეიძლება ჩატარდეს ბინის პირობებში, გარდა მძიმე ჰიპოქსიის ნიშნებით მიმდინარე მდგომარეობისა.

5. ფეროთერაპია უნდა ჩატარდეს შემდეგი დოზებით:

- ✓ 3 წლამდე ბავშვებში – 3-5 მგ/კგ დღეში;
- ✓ 3-დან 7 წლამდე – 100-200 მგ დღეში;
- ✓ 7 წლის ზემოთ 200 მგ დღეში.

დოზა ნაწილდება დღის განმავლობაში 2-3 მიღებაზე.

6. ფეროთერაპია სამკურნალო დოზით ტარდება ჰემოგლობინის ნორმალიზაციამდე, ხოლო შემდეგ 4-8 კვირის განმავლობაში როგორც პროფილაქტიკური კურსი (რკინის პრეპარატი ინიშნება სამკურნალო დოზის ნახევარი).

7. რკინის პარენტერალური პრეპარატებით მკურნალობა შესაძლებელია მხოლოდ მკაცრი ჩვენებით:

- ✓ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგია, ნაწლავის შეწოვის ფუნქციის დარღვევა;
- ✓ ორალური პრეპარატების აბსოლუტური აუტანლობა (გულის რევა, ლებინება);
- ✓ ორგანიზმის რკინით სწრაფი გაჯერების აუცილებლობა.

გართულების აცილების მიზნით საჭიროებს მკაცრი დოზირების დაცვას.

8. პარენტერალური რკინის პრეპარატების დოზები ბავშვის სხეულის მასის გათვალისწინებით შემდეგია:

- ✓ 5 კგ-მდე – 25 მგ დღეში (0,5 მლ);
- ✓ 10 კგ-მდე 25-50 მგ დღეში (0,5 – 1 მლ);
- ✓ 20 კგ-მდე – 100 მგ დღეში (2 მლ).

რკინის პრეპარატებით მკურნალობის ეფექტურობის კრიტერიუმები

1. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება რამდენიმე დღეში;
2. კუნთების სისუსტის შემცირება;
3. პერიფერიულ სისხლში რეტუკულოციტური კრიზის განვითარება (მკურნალობის მე-5-7-10 დღე);
4. ერითროციტების რაოდენობის ყოველკვირეული მატება;
5. ჰემოგლობინის დონის სარწმუნო მატება (მკურნალობის მე-3-4 კვირას);
6. რკინის მარაგის სრული შევსება 2-3 თვეში;
7. რკინის ლატენტური დეფიციტის მკურნალობა ასევე ტარდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
8. უშედეგო მკურნალობა რკინის პრეპარატებით განპირობებულია ან დოზის სიმცირით, ან მკურნალობის არასაკმარისი ხანგრძლივობით, ზოგჯერ კი საერთოდ სიდეროპენიის არარსებობით (მცდარი დიაგნოზი).

ძირითადი მკურნალობის ხანგრძლივობა რკინადეფიციტური ანემიის დროს

რდა მკურნალობის კურსი (საშუალოდ) შეადგენს 6-10 კვირას. იგი დამოკიდებულია

დაავადების სიმძიმესა და დეპო ორგანოებში რკინის მარაგის შევსებაზე:

- ✓ მსუბუქი ანემიის დროს 6-8 კვირა;
- ✓ საშუალო სიმძიმის ანემიის დროს 8-10 კვირა;
- ✓ მძიმე ანემიის დროს 10-12 კვირა.

რკინადეფიციტური ანემიის დროს პერორალური მკურნალობის დანიშნვის მეთოდოლოგია პრეპარატებში აქტიური რკინის დონის გათვალისწინებით

- ✓ რკინის მარილოვანი პრეპარატების მიღება რეკომენდებულია მკაცრად 30 წუთით ადრე კვებად;
- ✓ ნაწლავთა პათოლოგიის დროს რკინის მარილოვანი პრეპარატები ინიშნება გაანგარიშებული საჭირო დოზის 1/4 მისი თანდათანობით მიყვანით განკუთვნილ ასაკობრივ დოზამდე;
- ✓ პრეპარატები Fe(III) - ჰიდროქსიდ-პოლიმალტოზური კომპლექსი არ მოითხოვს და არ არის დაკავშირებული საკვების მიღებასთან.

რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობა ჰემოტრანსფუზიით

ამ მეთოდით მკურნალობა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, რადგან იგი იძლევა ხანმოკლე ეფექტს, თრგუნავს ერთროპოეზს და აბრკოლებს ჰემოგლობინის სინთეზს. ჰემოტრანსფუზიისას იზრდება რისკი ტრანსმისიული ინფექციების (შიდსი, B- და C -ჰეპატიტი, ციტომეგალოვირუსული ინფექცია და სხვა) განვითარებისა. სისხლის გადასხმა უნდა ჩატარდეს მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებით, როდესაც აღინიშნება მძიმე ანემია (ჰემოგლობინი < 50 გ/ლ) და ჰიპოქსიის მოვლენები.

კვებასთან დაკავშირებული რჩევები

- ✓ როდესაც ორგანიზმში უკვე არსებობს რკინის დეფიციტი. მხოლოდ კვების პროდუქტებით (ხილის და ბოსტნეულის წვენები და სხვა) მისი შევსება შეუძლებელია;
- ✓ ბუნებრივ კვებაზე მყოფ ბავშვებში დედის რძეში არსებული რკინა მის ყოველდღიურ მოთხოვნას (0,5-1,2 მგ) აკმაყოფილებს;
- ✓ ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვები უნდა იღებდნენ ადაპტირებულ ნარევებს, რომლებიც გამდიდრებულია რკინით. თუ ბავშვს აქვს რკინადეფიციტური ანემია, რკინის შეწოვა ამ საკვებიდანაც 5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქალის რძიდან;
- ✓ რკინადეფიციტური ანემიის პოსტნატალური პროფილაქტიკა გულისხმობს ბუნებრივ კვებას, ხოლო 6 თვიდან რკინით გამდიდრებულ დამატებით საკვებს. 7 თვის ასაკიდან ბავშვი უნდა იღებდეს ხორცის პროდუქტებს.

პროფილაქტიკა

- ✓ რღა პროფილაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტენატალურ პრევენციას. ორსული ქალის კვებას და ცხოვრების წესის მოწესრიგებას, ანემიის დროულ გამოვლენას და მის მკურნალობას;
- ✓ ბავშვის რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკა ორი ნაწილისაგან შედგება: დაავადების გამომწვევი ფაქტორების მოცილება და კვების სწორი რაციონის შემუშავება;

✓ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა და რისკის ჯგუფის ბავშვების გამოვლენა (დენაკლულები, აქსელერატები, არასრულფასოვანი, არაბალანსირებულ კვებაზე მყოფი ბავშვები და სხვა). ამ კონტინგენტს რკინის პრეპარატები ენიშნებათ პროფილაქტიკური დოზით;

✓ დენაკლულთა ადრეული ანემია, გარდა ერთროპოეზის დათრგუნვისა, რკინის დეფიციტის საწყის ფაზად არის მიჩნეული, რომელიც შემდგომში გადადის რკინადეფიციტური ანემიის მანიფესტურ ფორმაში. ამიტომ, დენაკლული ბავშვები რკინის პრეპარატებით მკურნალობას საჭიროებენ 2 თვის ასაკიდან.

რკინის პრეპარატების მიღებით გამოწვეული გართულებები

რკინის პერორალური და პარენტერალური პრეპარატების მიღებისას შესაძლებელია გამოვლინდეს სხვადასხვა სახის გართულებები. რკინის პერორალური პრეპარატებით მკურნალობის დროს წარმოქმნილი გართულებები დაკავშირებულია დოზის გადამეტებასთან. ფეროთერაპიის დროს ბავშვებში ხშირია მეტალის გემოს შეგრძნება პირის ღრუში, კბილების გაშავება, განავალი იღებს შავ ფერს. ყოველივე ეს კი აქვეითებს მკურნალობისადმი განწყობას.

ფეროპრეპარატები, რომლებიც შეიცავენ რკინის იონურ ნაერთებს, უკონტროლო გამოყენებისას, იწვევს ორგანიზმის მწვავე მოწამვლას. ამ დროს კლინიკურად გამოხატულია: ძლიერი ოფლიანობა, ტაქიკარდია, ც. ნ. ს-ის ძლიერი დათრგუნვა, კოლაფსი და ბოლოს შოკური მდგომარეობა.

შრატის რკინის მაჩვენებლების გათვალისწინებით გამოიყოფა მოწამვლის სიმძიმის 3 ჯგუფი: მსუბუქი (რკინა - 30-66 მკმოლ/ლ), საშუალო (რკინა 67-90 მკმოლ/ლ), მძიმე (რკინა 1000-200 მკმოლ/ლ). მოწამვლის ყველა შემთხვევაში ავადმყოფი მოითხოვს სტაციონარულ მკურნალობას: მიზანშეწონილია კუჭის ამორეცხვა, ენიშნება საფადართო საშუალებები, რკინის ანტიდოტი დეფეროქსამინი ინტრავენურად. მძიმე შემთხვევაში მიმართავენ პლაზმაფერეზს, ჰემაბსორბციას და დიალიზს.

რკინადეფიციტური ანემიის რეკომენდაციის დონე პრაქტიკოსი ექიმებისთვის

1. სისხლის დენის შედეგად განვითარებული რკინადეფიციტური ანემიის დროს, ლოკალიზაციის დაზუსტების მიზნით, კუჭ-ნაწლავის ენდოსკოპური (გასტროსკოპია, რექტორომანოსკოპია, ექსკოპია და სხვა) გამოკვლევების ჩატარების აცილებლობა (B).
2. ჰემოგლობინის და ფერიტინის ტესტი საუკეთესოა რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოსტიკაში (C).
3. თუ რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზი დადასტურებულია, გამორიცხულია ფოლიუმის მჟავას, ვიტამინ B₁₂-დეფიციტური ანემიის, თალასემიის და სხვა მიკროციტული ანემიების არსებობა, რკინის პრეპარატებით მკურნალობა სავალდებულოა (A).
4. რკინის პრეპარატების გამოყენების წინააღმდეგჩვენებაა გასტრო-ენტერალური სიმპტომები

(გულის რევა, დებინება, ფადარათი ან ყაბზობა) (A).

5. რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობის შემდეგ თუ არა გვაქვს გამოხატული კლინიკო-ლაბორატორიული გაუმჯობესება, ტარდება ღრმა გამოკვლევები დიაგნოზის დაზუსტების მიზნით (A).

6. ჰემოგლობინის მაღალი მანვენებელი საჭიროებს გამოკვლევის ჩატარებას ჰემოსიდეროზის არსებობაზე (A).

პირველადი ჯანდაცვის ექიმის როლი

რკინადეფიციტური ანემიით დაავადებულ ბავშვთა უმრავლესობა პირველ რიგში

მიმართავს პირველადი ჯანდაცვის ექიმს. ამ უკანასკნელის მოვალეობაა: დაადგინოს ანემიის არსებობა, რისთვისაც ახორციელებს (ლაბორატორიის მეშვეობით) პერიფერიული სისხლის ანალიზს, კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების მეშვეობით აფასებს დაავადების სიმძიმეს და განსაზღვრავს მკურნალობის საჭირო ტაქტიკას, ან დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ახორციელებს პაციენტის დამატებითი კვლევის მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს პაციენტი და/ან მისი მშობელი შესაბამისი ინფორმაციით.

SUMMARY

NATIONAL GUIDELINE FOR IRON DEFICIENCY ANEMIA IN CHILDREN

A. KVEZERELI-KOPADZE, M. KVEZERELI-KOPADZE, Z. MTVARELIDZE
"New Children's Clinic", Ltd; TSMU G. Zhvania Pediatric Academic Clinic

Iron deficiency occupies special place in the structure of anemias in children and adults. Despite the recent advances in hematology the frequency of anemias is constantly growing, especially in early childhood. During the first decade of 21st century in Georgia the iron deficiency anemia in children was manifested in 21, 4% of cases, and latent iron deficiency – in 13, 4%. This anemia is especially frequent in children under one year old.

The guideline reviews the practical and theoretical aspects of sideropenia, disease etiology and pathogenesis, clinical manifestations, specific diagnostics, prevention and treatment; own 40 years experience related to the prevalence of iron deficiency conditions and manifested forms of iron deficiency, and iron deficiency anemia in different regions of Georgia is generalized, its causes and complex approaches to treatment and prevention are discussed.

The guideline is intended for the pediatricians, hematologists, primary health care professionals.

ტკივილის მართვა ახალშობილებში

ც. შარულავა, მ. ჩხაიძე, თ. გოთუა, ი. ხურცილავა
ბავშვთა ახალი კლინიკა, საქართველო

PARULAVA T., CHKAIDZE M., GOTUA T., KHURTSILAVA I.
Children New Clinic, Georgia

ტრადიციულად ითვლებოდა, რომ ახალშობილი ბავშვები ტკივილის გადამცემი გზების უმწიფრობის გამო ვერ გრძნობენ და შესაბამისად არ განიცდიან ტკივილს, ექიმები ტკივილის პრევენციის აუცილებლობას უარყოფდნენ და ამას იმით ამართლებდნენ, რომ ამ ასაკში ანალგეზიური და ანესთეზიური მედიკამენტების გვერდითი ეფექტები უფრო ხშირია. 80-იან წლებში გაჩნდა კვლევები, რომლებიც ადასტურებდა, რომ ნაყოფს ორსულობის II ტრიმესტრის შუა პერიოდიდან აქვს სრულფასოვანი და მოფუნქციონირებული სენსორული სისტემა. ოპტიკურმა ნეიროკვლევებმა კი ცხადყო მტკივნეულ სტიმულზე ტვინის სომატოსენსორულ არეებში კორტიკალური შრის აქტივაციის ფაქტი როგორც ღრუოდ, ისე დღენაკლ ახალშობილებში. ტკივილის საპასუხოდ ამ ასაკობრივ ჯგუფში ვლინდება; ავტონომიური (გულისცემის სიხშირის გაზრდა, არტერიული წნევის მატება), ჰორმონალური (კორტიზოლის, კატექოლამინების გამოყოფა), ქცევითი (გრიმასა) და იმუნოლოგიური ცვლილებები.

ტკივილი ახლავს ა) ახალშობილთა მოვლის რუტინულ ღონისძიებებს: გაზგამყვანის ჩადგმას, შარდის ბუშტის კათეტერიზაციას, ფიზიკალური გასინჯვის პროცედურას; ბ) მცირე ინვაზიური პროცედურებს: ელექტროამომწოვი, ფლუბოტომია, პერიფერიული ვენების კათეტერიზაცია; გ) სერიოზულ ინვაზიურ პროცედურებს: პლევრის პუნქცია, ცენტრალური ვენების კათეტერიზაცია, ცირკუმსიზიო (წინდაცვეთა), ქირურგიული ჩარევა. გახანგრძლივებული ტკივილი აქვთ წყლულოვან-ნეკროზული კოლიტით, მენინგიტით, სეფსისით დაავადებულ ახალშობილებს. განსაკუთრებით ხშირად ტკივილს განიცდიან ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის პაციენტები.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ ახალშობილებს სტკივათ, ბევრ სამედიცინო დაწესებულებაში, მათ შორის ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებშიც კი ტკივილის მართვის ღონისძიებებს არ მიმართავენ. არადა ტკივილის ადექვატური მართვის შემ-

თხვევაში სარწმუნოდ უკეთესია პოსტოპერაციული ლეტალობის მანევრებლები, სეფსისის, სისხლძარღვშიდა შედეგების სინდრომის, მეტაბოლური აციდოზის გამოსავალი. მორეციდივე ტკივილი ახალშობილებში სცვლის ტკივილის აღქმას როგორც ბავშვობის, ისე მოზარდობის ასაკში.

2006 წელს ამერიკის პედიატრიულმა აკადემიამ კანადის პედიატრიულ ასოციაციასთან ერთად შეიმუშავა ტკივილის კონტროლის პროგრამა, რომელიც რეკომენდებულია ყველა სამედიცინო დაწესებულებისათვის, სადაც მკურნალობას გადაიან ახალშობილი ბავშვები. პროგრამის ძირითადი რეკომენდაციებია:

1. ტკივილის რუტინული შეფასება და კონტროლი სამედიცინო მომსახურების აუცილებელი კომპონენტია;
2. მტკივნეული პროცედურების რიცხვის შემცირება;
3. ტკივილის შემცირება/პრევენცია ინვაზიური პროცედურების დროს;
4. ტკივილის შემცირება/პრევენცია პოსტოპერაციულ პერიოდში;
5. ქრონიკული ტკივილის და სტრესის პრევენცია ნეონატალური ინტენსიური თერაპიის დაწესებულებაში;
6. ტკივილის პრევენციის, კონტროლის და მართვის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მტკიცებითი მედიცინის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ტკივილის პრევენცია, კონტროლი და მართვა ტკივილის სიმძიმის შეფასებით იწყება. **ტკივილის სიმძიმის შეფასება** ახალშობილებში კომუნიკაციის შეუძლებლობის გამო ტკივილის შეფასება ეფუძნება ფიზიოლოგიურ და ქცევით ინდიკატორებს, რისთვისაც რეკომენდებულია შემდეგი შკალები:

- NIPS** - neonatal Infant Pain Scale
- CRIES** - Crying, Requires oxygen saturation, Increased vital signs, Expression, Sleeplessness
- PIPP** - Premature Infant Pain Profile
- N-PASS** - Neonatal Pain Agitation and Sedation Scale

უნივერსალური შკალა არ არსებობს. ტკივილის სიმძიმის შესაფასებლად ყველა დაწესებულება ირჩევს მისთვის მისაღებ მეთოდს ან იყენებს რამდენიმე შკალას ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. რეკომენდებულია ტკივილის შეფასება მოხდეს ყოველ 4 საათში და დამატებით ყოველი მტკივნეული პროცედურის შემდეგ.

ტკივილის მართვა. ტკივილის კონტროლის პროგრამა გულისხმობს:

- ანალგეზიას ნებისმიერი მტკივნეული პროცედურის ჩატარების წინ;
- მტკივნეული სტიმულების და პროცედურების რიცხვის მაქსიმალურ შემცირებას;
- არაფარმაკოლოგიური პროცედურების, ფარმაცევტული აგენტების ან მათი კომბინაციის გამოყენებას.

1. ანალგეზია.

I საფეხური. არაფარმაკოლოგიური ღონისძიებები: მატყუარა საწოვარა, საქაროზა, "კენგურუს მეთოდი", პოზიციური თერაპია და სენსორული სატურაცია;

II საფეხური. ტოპიკური ანალგეზიური საშუალებები: ლიდოკაინი, ლიდოკაინ-პრილოკაიმის კრემი, ტეტრაკონის ჟელე, ამიდოკაინის ჟელე;

III საფეხური. აცეტამინოფენი, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები ორალურად ან რექტალურად;

IV საფეხური. ოპიოიდების ინტრავენური ინფუზია (მორფინი, ფენტანილი);

V საფეხური. ლიდოკაინით ინფილტრაცია ან ნერვის ბლოკადა;

V საფეხური. დრმა სედაცია: ოპიოიდები სხვა მედიკამენტებთან ერთად ან ანესთეზია

არჩევანი, თუ რომელ საფეხურს გამოიყენებს ექიმი დამოკიდებულია მის შეფასებაზე, სამედიცინო დაწესებულების ტიპზე და დაწესებულებაში მიღებულ პროტოკოლზე.

2. არაფარმაკოლოგიური ანალგეზია. მცირე სტრესების და ტკივილის დროს საკმარისია:

ორალური საქაროზა. 3 თვემდე ასაკის დროულ და დღენაკლ ახალშობილებში სტრესის და მცირე ინვაზიურ პროცედურებთან დაკავშირებული ტკივილის შემცირება შესაძლებელია ტკბილი სითხეების - საქაროზას და გლუკოზას გამოყენებით. 3 თვეზე მეტი ასაკის ჩვილებში ეს ღონისძიება აღარ არის ეფექტური. ეს ნახშირწყლების ახდენენ ტვინში ოპიოიდური რეცეპტორების აქტივაციას. რეკომენდებულია საქაროზას 24%-იანი ხსნარის 0, 05 - 0, 5მლ (0, 012-0, 12გ) ორალურად ან საქაროზას ხსნარში დასველებული მატყუარა (შეესაბამება დაახლოებით 0,2 მლ) 2 წუთით ადრე ჩარევამდე. ეს ღონისძიება უსაფრთხოა და შეიძლება მისი რამდენჯერმე გამეორება. ინტუბირებული პაციენტებისათვის რეკომენდებულია საქაროზას 1 წვეთი ენაზე. ანალგეზიისათვის საქაროზა საკმარისია ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორცაა: ქუსლში ჩხვლეტა, ვენის პუნქცია და კათეტერიზაცია, ნაზოგასტრალური ზონდირება, არტერიის პუნქცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, კუნთი და კანქვეშ ინექცია, თვალის ფსკერის დათვლიერება, ტანსაცმლის გამოცვლა. საქაროზასთან ერთად დამატებით ლოკალური ანესთეზიის ჩატარებას საჭიროებს: ლუმბური პუნქცია, წინდაცვეთა, პლევრის პუნქცია, ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია, ძვალშიდა ინექცია/ინფუზია

ბუბუთი კვება ან ორალურად ქალის რძის მიცემა საქაროზას ანალგეზიურ ანალგეზიურ ეფექტს იძლევა და ალტერნატიულ ღონისძიებად ითვლება.

წოვა საკვების გარეშე (მატყუარა საწოვარა) უფრო ეფექტურია, ვიდრე სენსორული სტიმულაცია (რწვევა, ხელით შეხება) ან პოზიციური თერაპია, მაგრამ ნაკლებად ეფექტური ბუბუთი კვების, რძის მიცემის ან საქაროზით ანალგეზიასთან შედარებით.

სხვა ღონისძიებები.

- ბავშვის მჭიდროთ შეხვევა, კიდურების მოტორული აქტიობის შეზღუდვა ააქტიურებს პროპრიოცეპტულ, ტაქტილურ და თერმულ რეცეპტორებს;

• ხელის პირში ჩადება, თითის წოვა გარკვეულად თვითდამამშვიდებელ ქცევით საშუალებებად ითვლება;

• მთლიანად გახვევა საბანში;

• შემამსუბუქებელი პოზა - მოხრილი და მუცელზე მიბჯენილი კიდურებით მკლავებში მოქცევა;

• კანით კანთან კონტაქტი ("კენგურუს მეთოდი" - დედის სარძევე ჯირკვლებს შორის ჩაწვენა - ასტიმულირებს ვენტრალურ, ტაქტილურ და პროპრიოცეპტულ სისტემებს და ამცირებს ტკივილს;

• სენსორული სატურაცია- შეხება, მასაჟი, დალაპარაკება, სუნი, ვიზუალური სტიმულაცია მტკივნეული პროცედურის დროს.

3. ფარმაკოლოგიური ანესთეზია.

ლოკალური ანალგეზია გულისხმობს ტოპიკური ანესთეტიკების გამოყენებას ან ლიდოკაინის ინექციას. კრემი EMLA - თი დაზღვევა ეფექტურია ვენის პუნქციის და კათეტერიზაციის, არტერიის პუნქციის, ლუმბალური პუნქციის დროს. არ არის ეფექტური ქუსლის ჩხვლეტის დროს, რადგან იწვევს ვაზოკონსტრიქციას და სისხლის ასადებად საჭირო ხდება ქუსლის მოჭყლეტა, რაც ასევე მტკივნეულია.

ლიდოკაინის ინექცია ან ნერვის ბლოკადა. გამოიყენება ვენის და არტერიის პუნქციის და კათეტერიზაციის, ლუმბალური პუნქციის, წინდაცვეთის, ასევე ქირურგიული ჩარევის დროს ან პოსტოპერაციულ პერიოდში. ლიდოკაინის კომბინაცია ეპინეფრინთან ნეონატალურ ასაკში არ არის გამართლებული ქსოვილების ნეკროზის და არითმიის რისკის გამო. კანქვეშ ინექცია ახალშობილებში აპრობირებული არ არის.

სისტემური ანალგეზია. არაოპიოიდური ანალგეზიური საშუალებები:

აცეტამინოფენი - ამ პრეპარატის კლირენსი დროულ და დღენაკლ ახალშობილებში უფრო დაბალია, ვიდრე ბავშვებში, ამიტომ სწორია შედარებით ნაკლები ჯერადობა. რეკომენდებული დოზა ახალშობილებში: 10-15 მგ/კგ ორალურად ყოველ 6-8 საათში, ან 20-25მგ/კგ რექტალურად იგივე ინტერვალით.

განსხვავებით ბავშვებისაგან, ახალშობილებში აცეტამინოფენის გვერდითი ეფექტები მინიმალურია (ჰეპატოტო და ნეფროტოქსიურობა).

არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები ინტენსიურად გამოიყენება ბავშვთა ასაკში, მაგრამ შეზღუდულად ახალშობილებში, რადგან ხშირია გასტროინტესტინური სისხლდენა, თრომბოციტების დისფუნქცია, გლომერულური ფილტრაციის დონის დაქვეითება.

ოპიოიდები ეფექტურია საშუალო და მძიმე ხარისხის ტკივილის სამართავად ყველა ასაკში. ყველაზე ხშირად გამოიყენება მორფინი და ფენტანილი.

მორფინის ინფუზია რეკომენდებულია ინვაზიური პროცედურების, ტრაქეის ინტუბაციის, დიდი ქირურგიული ჩარევის დროს და პოსტოპერაციული ტკივილის საკონტროლოდ. არ არის გამართლებული მისი გამოყენება ვენტილაციაზე მყოფ

დღენაკლ ახალშობილებში, რადგან შესაძლებელია განვითარდეს პიპოტენზია.

ფენტანილი სწრაფად მოქმედი ანალგეზიური საშუალებაა და ჰემოდინამიკური გვერდითი ეფექტებიც ნაკლები აქვს, მაგრამ რუტინულად მისი გამოყენება არ არის რეკომენდებული. ფართოდ გამოიყენება ტრაქეის ინტუბაციის წინ.

ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევებშია გამართლებული, როცა სამედიცინო დაწესებულებას აქვს სრულფასოვანი მონიტორინგის გამოცდილება და გვერდითი ეფექტების დროულად გამოვლენის საშუალება.

სედაციური ეფექტის მედიკამენტები - ბენზოდიასეპინები, ბარბიტურატები, ქლორალჰიდრატი იწვევენ სუსტ ანალგეზიას, სამაგიეროდ კუნთების რელაქსაციას, სედაციას, ამნეზიას, შესაბამისად ნიღბავენ ტკივილის სიმპტომატიკას.

4. მტკივნეული ჩარევების (პროცედურების) რიცხვის შემცირება.

• შემცირდეს ახალშობილის გაშიშვლების რიცხვი. ამისათვის რუტინული ღონისძიებები (ეჭიმის გასინჯვა, საფენის გამოცვლა) და სამედიცინო პროცედურა (მაგ. ელექტროამომწოვის გამოყენება) მოხდეს ერთდროულად.

• მაქსიმალურად შემცირდეს ლაბორატორიული ტესტირების მიზნით კანის მთლიანობის დარღვევის/ჩხვლეტის რიცხვი. მძიმე პაციენტებში გამართლებულია არტერიის კათეტერიზაცია, რადგან ტესტების და ჩარევების რიცხვი მაღალია.

• როცა შესაძლებელია განხორციელდეს არაინვაზიური ტრანსკუტანური მონიტორინგი (სატურაცია, ბილირუბინის დონე).

• უპირატესობა მიენიჭოს არაინვაზიურ ანალგეზიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anand KJ, Aranda JV, Berde CB et al Summary proceedings from the neonatal pain-control group. *Pediatrics*. 2006; 117, 9-22.
2. Anand KJ, International Evidence-Based Group for Neonatal Pain Consensus statement for the prevention and management of pain in the newborn. *Arch Pediatr Adolesc Med*. 2001; 155(2): 173-180.
3. Anand KJ, Hall RW Pharmacological therapy for analgesia and sedation in the newborn. *Arch Dis Child Fetal Neonatal Ed*. 2006; 91(6): F448-53.
4. Golianu B, Krane E, Seybold J et al. Non-pharmacological techniques for pain management in neonates. *Semin. Perinatol*. 2007; 31(5): 318-22.
5. Okan F, Coban A, Ince Z et al. Analgesia in preterm newborns: the comparative effects of sucrose and glucose. *Eur J Pediatr*. 2007; 166(10): 1017-24.
6. Shah PS, Aliwalas LI, Shah V Breastfeeding or breast milk for procedural pain in neonates. *Cochrane Database Syst Rev*. 2006; 3: CD004950.
7. Ferber SG, Makhoul IR Neurobehavioural assessment of skin-to-skin effects on reaction to pain in preterm infants: a randomized, controlled within-subject trial. *Acta Paediatr*. 2008; 97(2): 171-6.

AVANTE-Hospital Management Group



მ. იაშვილის სახელობის გავრცელებული
ცენტრალური საავადმყოფო

ბათუმის დედათა და
გავრცელებული ცენტრი



ქალთა სამედიცინო ცენტრი
„ახალი სიცოცხლე“



ი. ფალავას
სახელობის
პედიატრიის
ინსტიტუტი



გავრცელებული
ახალი
კლინიკა



სპერექსი

ცეფაკლორი

II თაობის ცეფალოსპორინი



მოზრდილებისთვის სადღეღამისო დოზა შეადგენს სხეულის მასის მიხედვით - 10-15 მგ/კგ გაყოფილი 2-4 მიღებაზე ჭამის დროს ან შემდეგ. საშუალო სიმძიმის ინფექციების დროს პრეპარატი მიიღება 250 მგ 3-ჯერ დღეში (ყოველ 8 სთ-ში), მძიმედ მიმდინარე ინფექციების დროს - 500 მგ 3-ჯერ დღეში (წევონია, შუა ყურის მწვავე ანთება).
მოზრდილების მინიმალური სადღეღამისო თერაპიული დოზაა 750 მგ, მაქსიმალური რეკომენდებული დოზა - 2 გ, მაქსიმალური დასაშვები დოზა - 4 გ.
მკურნალობის კურსი შეადგენს საშუალოდ **7-10** დღეს.
6 წლამდე ასაკის პავშვებში რეკომენდებულია სპერექსის სუსპენზიის სახით დანიშვნა. ბავშვებში საშუალო სიმძიმის ინფექციების სამკურნალოდ სპერექსი ინიშნება **20-40 მგ/კგ** დღეში გაყოფილი 2 ან 3 მიღებაზე. მაქსიმალური დასაშვები სადღეღამისო დოზაა 1 გ.
1 თვიდან 1 წლამდე (9 კგ) - 2.5 მლ 3-ჯერ დღეში, 1 წლიდან 5 წლამდე (9-18 კგ) - 5 მლ 3-ჯერ დღეში
სუსპენზიის მომზადების წესი: ფლაკონის შიგთავსს დაამატეთ გადაღლებული, გაცივებული წყალი ფლაკონზე აღნიშნულ ზოლამდე. მიიღება ნითელი ფერის სუსპენზია ჟოლოს არომატით. გამოყენების წინ შეანჯღრიეთ!
 სუსპენზია გამოიყენება მომზადებიდან არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში. მჭიდროდ დახურული ფლაკონი მზა სუსპენზიით ინახება მაცივარში 2-8°C ტემპერატურაზე. დაუშვებელია გაყინვა.
ბამოშვების ფორმა: კაფსულები 250 მგ. №10
 ფხვნილი პერორალური სუსპენზიის მოსამზადებლად 125 მგ/5 მლ. 60მლ ფლაკონი.

კვადიმექსი

ცეფპოდოქსიმი

III თაობის ცეფალოსპორინი



მიღების წესი და დოზირება: 5 თვიდან 13 წლამდე ასაკის ბავშვებში კვადიმექსი ინიშნება 5-10 მგ/კგ-ზე 12 სთ-ში ერთხელ. მაქსიმალური სადღეღამისო დოზა არ უნდა აღემატებოდეს 400 მგ-ს. მკურნალობის კურსის ხარგრძლივობა - 5-10 დღე.
13 წლის ასაკის ზემოთ ბავშვებსა და მოზრდილებში კვადიმექსი ინიშნება 100-400 მგ. 12 სთ-ში ერთხელ. მკურნალობის კურსის ხარგრძლივობა - 7-14 დღე.
 რეკომენდებულია კვადიმექსის ტაბლეტის მიღება საკვებთან ერთად. სუსპენზიის მიღება კვებასთან დაკავშირებული არ არის.
ბამოშვების ფორმა: ფხვნილი პერორალური სუსპენზიის მოსამზადებლად 50მგ/5მლ. 30 მლ ფლაკონი.
 ტაბლეტები 100 მგ, 200 მგ №10.

როქსიტასი-ავერსი

როქსითრომიცინი



როქსიტასის დოზირება

სხეულის მასა	რეკომენდებული სადღეღამისო დოზა
40 კგ-ზე მეტი	150 მგ (1 ტაბლეტი) 2-ჯერ დღეში ან 300 მგ (2 ტაბლეტი) ერთხელ დღეში
24-40 კგ	100 მგ (10 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში
12-23 კგ	50 მგ (5 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში
6-11 კგ	25 მგ (2.5 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში

ტაბლეტები: მიიღება დაუღეჭავად, საკმარისი რაოდენობის წყალთან ერთად, ჭამამდე დაახლოებით 15 წთ-ით ადრე.
სუსპენზია: 2 თვიდან 4 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის რეკომენდებულია როქსითრომიცინის სუსპენზიის სახით მიღება. სუსპენზია მიიღება პერორალურად, ჭამამდე დაახლოებით 15 წთ-ით ადრე. მიღების წინ შეანჯღრიეთ!
ბამოშვების ფორმა: როქსიტასი-ავერსი 150 მგ №10 ტაბლეტი; როქსიტასი-ავერსი 50 მგ/5 მლ 30 მლ სუსპენზია.

შპს "ავერსი-რაციონალი", საქართველო.
 საინფორმაციო სამსახური: 967 227
www.aversi.ge

